

...მომავალი და ამჟამად წიგნის მალაზიის გამოცემა.

590601
3

ი ა კ მ ზ ხ უ ც ე ს ი

მე-V-ე საუკუნე

წამება

წმიდისა

შუშანიკისი

ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები.

ს. რ. გოგაძის

რედაქტორობით.

მუთაისი

ქართული საზოგადოების - კ. უამერტ. საზ. ქუთ. განყ. სტამბა

1917

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის წიგნის მაღაზიის გამოცემა.

ი ა კ ო ბ ხ უ ც მ ს ი.

მე-1'-ე საუკუნე.

წამებაჲ

წმიდისა

შუშანიკისი.

ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები.

ბ. რ. გოგუაძის

რედაქტორობით.

ქუთაისი

1917

ძართულის ისტორიისა და მწერლობის დასაწყისი ბურჟუი მოცულობა. მართალია — სამწერლო ენა ქართველებს, როგორც ჩანს, ქრისტიანობამდეც გვექნია, მაგრამ იმდროინდელს სამწერლო სამსახურს ჩვენამდე არ მოუწევია. უძველესი ქართული ორიგინალური სალიტერატურო ნაწარმოები, რომლის ტექსტსა და ავტორის სახელს ჩვენამდე მოაწია, წინამდებარე ნაშრომა — იაკობ ხუტესის თხზულება: «წამება წმიდისა შემწიისის».

სამწერლოდ ეს ძეგლი საისტორიო ძეგლი, რომელიც თანამედროვე კლასიკოსების (ე. ი. მე-V-ე საუკუნის ნაწარმოები), დღემდე რიგთანად გამოცემული არა გვაქვს. ერთადერთი გამოცემა მიხეილ საბინისა მის «საქართველოს სამთხრო»¹ არც მეცნიერულია და არც ფართო საზოგადოებასთვის ხელმისაწვდომი: ერთი მხრით უზომო სიძვირე და სიდიდე (ფორმატი) გამოცემისა საჭირო ასინა-განმარტებთა უქონლობასთან შეერთებული და მეორე მხრით კრიტიკულად აუწონ-დაუწონლობა იმ ხელნაწერს დედნებისა, რომლითაც გამოცემელს უსარგებლობა², სრულიად უკარგავს მის გამოცემას როგორც ფართო საზოგადოებრივს ისე სამეცნიერო მნიშვნელობას.

ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც შესაძლო იყო, ეს ორმაგი ნაკლი თავიდან აგვეცილებინა და ქართველი მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ისეთი გამოცემა რომლითაც ფართო საზოგადოებამაც ადვილად ისარგებლოს და არც მკვლევარ-მეცნიერნი დარჩენ უკმაყოფილონი. ამ აზრით „წამების“ ტექსტს ჩვენ დავერთეთ ერთი მხრით საჭირო საისტორიო შენიშვნები და სალექსიკონო (სიტყვების) განმარტებანი და მეორე მხრით ხელნაწერ დედანთა მოკლე აღწერილობა და ვარიანტები ამ დედნებიდან. მართალია — ზირველი ზედმეტია სპეციალისტ-მკვლევართათვის, მაგრამ ჩვენი დრმა რწმენით ზირდაზირი დანაშაულობა იქნებოდა თანამედროვე ქართველობის წინაშე მხოლოდ ორიოდე საკაბინეტო მკვლევარისათვის გამოცემა ისეთის

¹ გამოცემულია პეტრესქალაქს 1882 წელს. გვერდები 181—192.

² ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ ნაწ. II. თფილისი. 1908—1910 წ., გვ. 108—110.

სადიტერატურო ძეგლის როგორც წინამდებარე ნაშრომია: უფელ შეგ-
ნებულ შკითხველს უფლება აქვს მოგვითხუის.—მისთვის ხელმისაწვდომი
გავხადით ისეთი ძეგლი რომლის ენითაც შეხუთე საუკუნის ქარაველი
გველანაკება და რომელშიაც შესანიშნავის სინამდვილით გადაშლილია ჩვენი
უუძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალ-ზოლოტიკური
წიბილება და კერძო საოჯახო ცხოვრება³.

ს. გორგაძე.

³ თუ რაოდენ ძვირფას საისტორიო მასალებს შეიცავს ეს ძეგლი ჩვენის წარსულის
შესასწავლად. ამის საუცხოო საილუსტრაციო ფაქტებს მკითხველი მრავლად ამოიკითხავს
ჩვენის საზოგადოების ისტორიკოსის ავ. ჯაფარიშვილის ნაშრომში: „ქართულ ერის ისტო-
რია“ ტომი I (მეორე გამოცემა), გვ. 226—236.

წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი

დედოფლისაჲ.

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსა-
5 სრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი*.

- I. იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა — კარად
სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიაშხი ძპ არშუშაასი¹.
რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე ნაშობი
მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა
10 იყო! ასული ვარდანისი სომეხთა სპაჲპეტისაჲ², რომლისათჳს ესე მიქაწერე თქუენდა, მამისაგან სახელით
ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ,
მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა! იგი ვთქუთ, სიყრმი-
გან თჳსით. და ჟკეთურებისა მის სახისა ქმრისა მი-
15 სისაჲსა მარადის გულს ეტყუნ და ევედრებინ ყო-
ველთავე ლოცვის ყოფად მისთჳს რაჲთამცა ცვალა
იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუენურებისა და იქმნამ-
ცა გონიერებასა ქრისტასსა.

- ხოლო ამის უბადრუკისა³ და სამეზის საწყა-
20 ლობელისა ვარსკენისი ვითარემე ვინ თქუას ყოვლად
განწირულისაჲ ვითარ იგი განაგდო სანატრელი სა-
სოებაჲ ქრისტსი! ანუ ვინ არა სტიროდის მას რომ-
მელსა არცა ჳირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი,
არცა ჳერობილებაჲ ქრისტსთჳს!
25 რამეთუ, რაჲთამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა
მეფისა, არათუ პატივისა მოღებისათჳს არამედ ძღუნად
თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის-
ყოფითა ჳეშმარიტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის

S182

D196b

A735b

B169a

სცემდა 'ცეცხლსა'⁴ | რაჲმეთუ ყოვლითკერძოვე თავი D197ა
თჳსი ქრისტჳსგან განაგდო. A736ა

ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა
სპარსთა მეფისაგან რაჲთამცა სათნო ეყო⁵ მეფესა და
5 ესრტო ეტყოდა ვითარმედ «რომელი იგი ბუნებითი
ცოლი არს და შვილნი იგინიცა ესრევე მოვაქცინე
შენსა შჯულისა ვითარცა ესე მე». ამას უქადებდა
რომელი იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკისგან.

მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა
10 ასული მეფისაჲ.

II. ღა იჯმნა¹ მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიაშ- C121ა
ხმან. და, ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლი-
სათა ქუეყანასა მას ჰერეთისასა², ზრახვა ყო რაჲთა
აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი
15 ძენი და მსახურნი მისნი რაჲთა მათ გამო ვითარცა B169ბ
გუელი სოფლად შევიდეს; და წარმოჰმართა სადიას-
პანოათა³ ცხენითა მონაჲ თჳსი.

ვითარცა მოვიდა [მონაჲ იგი] | დაბასა⁴ რო- A736ბ
მელსა სახელი ჰრქჳნ ცუ|რტაჲ⁵ და ვითარცა მოი- D197ბ
20 წია და შევიდა წინაშე შუშანიკისა დედოფლისა ჩუენი-
სა,---და კითხვაჲ ჰრქუა⁶.

ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა წინ-
[აჲსწ]არმეტყუელმან ჰრქუა: «უკუეთუ სულითა ცხო-
ველ⁷ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა.
25 უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე
შენი შენდავე მოიქეცინ!»

ხოლო კაცმან ვერ იკადრა⁸ სიტყუად მისა.

|ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხ- S183
ვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართა-
30 ლი და ჰრქუა ვითარმედ ვარსქენ უფარ ყო ჰეშმარიტი
ღმერთი.

ვითარცა ესმა ესე ნეტარსა შუშანიკს, დეარდა
იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და
კრემლითა მწართა იტყოდა: «საწყალობელ იქმნა
35 უბადრუკი ვარსქენ რაჲმეთუ უფარ ყო ჰეშმარიტი

ღმერთი და აღიარა არტოშანი⁹ და შეერთო იგი უღმრთოთა».

| და აღდგა და დაუტევა ტაძარი¹⁰ თჳსი და A737a
ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მი- D198a
5 იყვანა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული და
წარადგინა იგინი წინაშე საკურთხეველსა და ესრტო
ილოცვიდა და იტყოდა:

| «უფალო ღმერთო! შენნი მოცემულნი არიან B170a
და შენ დაიცვენ ესენი განათლებულნი წმიდისაგან
10 ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისაჲთა ყოფად ერთ
სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესა».

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახ-
ლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა
15 და შევიდა მუნ-შინა¹¹ სიმწარითა სავსე და მიეყრდნა
ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

III. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის ჰი-
ტიაშხისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფუტ, არა C121b
მუნ იყო არამედ კაცისა ვისაჲ წმიდისა ვანად¹ მი-
20 სრულ იყო კითხვად რაჲსაჲ სიტყჳსა. და მეცა ზუ- A737b
ცესი დედოფლისა შუშანიკისი თანა ვჰყვანდი ეპის-
კოპოსსა მას.

და მყის² მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და
გვთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვაჲ ჰიტიაშხისაჲ
25 და საქმენი დედოფლისანი. | ხოლო ჩუენ აღვიესე- D198b
ნით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტირო-
დეთ განმწარებულნი ცოდვითა ჩუენთა წარმოჩინე-
ბისათჳს.

ხოლო მე ვიჯემენ³ ადრე და მივიწიე დაბასა მას
30 რომელსა იყო ნეტარი შუშანიკი. და, ვითარცა ვი-
ხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე.

და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: «ლუაწლსა დიდსა
შესლვად ხარ, დედოფალო! ეკრძაღე საქრწმუნოე- B170b
ბასა ქრისტესსა: ნუ უკუე მტერმან ვითარცა სრსულ-
35 მან⁴ საძოვარი პოოს შენ თანა»!

ხოლო წმიდამან ზუზანიკ მრქუა მე: «ხუცეს,
და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ».

და მე ვარქუ მას: «ეგრტო! არს! მენე იყავ, A738a
მოთმინე და სულგრძელო!»

5 ხოლო მან მრქუა მე: «ჩემდა მარტოჲსა არიან
კირნი ესე!»

ხოლო მე ვარქუ მას: «კირი ზენი კირი ჩუენი
არს და სიხარული ზენი სიხარული ჩუენი არს: ჩუენი
არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ არამედ ჩუენ ყო-
10 ველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ!» და | ვარქუ მე სა- D199a
ნატრელსა მას: «ხუაშადადრე⁵, ვითარ გეგულეგბის,
მითხარ მე რაჲთა უწყოდო⁶ ღ ალგწერო შრომაჲ შენი».

ხოლო მან მრქუა მე: «რასა მკითხავ ამას?». და
მე მიუგე და ვარქუ მას: «მტკიცედ სდგაა?». და მან
15 მრქუა მე: «ნუ იყოფინ ჩემდა თუმცა ვეზიარე საქმეთა
და ცოდვათა ვარსკენისთა!»

მე მიუგე და ვარქუ მას: «მწარე გონებაჲ აქუს
მას: გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ».

ხოლო მან მრქუა მე: «უმჯობეს არს ჩემდა
20 კელთა მისთაგან სიკუდილი ვიდრე ჩემი და მისი
შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ! | რაჲმეთუ A738b
მასმიეს მე პავლს მოციქულისაგან: არა დამონე- C122a
ბულ არს ძმაჲ გინა დაჲ | არამედ განეყენენ⁷. B171a

და მე ვთქუ: «ეგრტო არს!»

25 IV. ლა ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვე-
ნით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი
წინაშე ნეტარისა ზუზანიკისა და ტირილით იტყოდა:
«ესე ვითარი სახლი მშუდლობისაჲ ვითარ საწყალობელ D199b
იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!» ხოლო
30 ზრაზვითა¹ იყო იგი ვარსკენისითა და ზაკუვით² იტყო-
და ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის.

ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრაზ-
ვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.

და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსკენ
35 პიტიაშხი.

და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა:
«მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ S184
არს შენგან და მე გეტყვ შენ: ნურას ფიცხელსა სი-
ტყუასა ეტყვ მას|რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო A739a
5 არს».

და ხვალისა დღს, ვითარ აღდგა პიტიაშხი, გვ-
წოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით; და სიხარულით
შეგვმთხვნა³ და გურქუა ჩუენ: «აწ ნურას მერიდე-
ბით მე და ნუცალა გძაგ!» და ჩუენ მიუგეთ და
10 ვარქუთ: «წარწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარ-
გუწყმიდენ!»

მაშინლა იწყო სიტყუად და თქუა: «რამსა კელ
იწიფა⁴ ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევეითარისა საქ- D200a
მელ! აწ მივედით და არქუთ ვითარმელ|შენ ჩემი B171b
15 ხატი⁵ დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ
და შენი აღგილი დაგიტევებიეს და სხუად წარ-
სულ ხარ!»

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: «არაფთუ მე
აღმემართა ხატი იგი და მემცა დავაძხუ. ხოლო მა-
20 მამან შენმან აღჰმართნა სამარტულენი⁶ და ეკლესიანი
აღაშბნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუ-
ნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან
შენმან|წმიდანი შემოიხუნა⁷ სახილ⁸ თვსა, ხოლო A739b
შენ დევნი⁹ შემოიხუნენ. მან ღმერთი ცათაჲ და
25 ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერ-
თი ჰეშმარიტი უფარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც.
და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უფარ ჰყავ ეგრე- C122b
ცა მე შენ შემურაცხ გყავ. და თუ მრავალი ტანჯ-
ვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა
30 შენთა!»

ხოლო ჩუენ ესე ყოველი|მიუთხარო პიტიაშხსა. D200c
ხოლო მან განიწყო გული და იბრდლუენდა¹⁰ მისთვის.

V. მერმე მიაველინა [პიტიაშხმან] ჯოჯიკი ძმაჲ
თვსი და ცოლი ჯოჯიკისი ძმისცოლი თვსი და ეპის-
35 კოპოსი სახლისა თვსისაჲ და ჰრქუა მათ: «ესრპთ

არქუთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თვსსა და ნუ ეგე-
ვითარი გონებაჲ გიპყრის! უკუეთუ არა—თრევით
მოგითრიო!»

და ვითარ მიიწინეს და შევიდეს წინაშე დედოფ- B172a
5 ლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყო-
დეს მას.

მკჷნ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: «კაცნო
ბრძენნო! თქუენ! კეთილად იტყვთ გარნა ნუ დაგი- A740a
ჯერბიეს თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ. მეგონა
10 მე ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ქეშ-
მარიტი აღიაროს და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?
ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა
ჩემი მაზლი ხარ და არცალა მე შენი ძმის|ცოლი, D201a
არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის
15 კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ!»

ჰრქუა მას ჯოჯიკ: «უწყი მე, აწ მოავლინნეს
მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ».

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «უკუეთუ შე-
მკრას და მითრიოს, მიხარის რაჲმეთუ მით სახითა
20 იყოს განჩინებაჲ¹ ჩემი მისგან».

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს
ყოველნი. და ჯორჯიკ აღდგა და ცრემლითა გარე
განვიდა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა:
25 «ვითარ მეტყვ მე დაჯერებად ჩემდა რაჲმეთუ მან
ღმერთი უფარ ყო?»

ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: «დაჲ
ჩუენი ხარ შენ: ნუ წარსწყმედ² სახლსა ამას|სადე- A740b
დოფლოსა!»

30 ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «უწყი ვათარმედ
დაჲ ვარ და ერთგან განზრდილნი: ხოლო მაგას ვერ
ვპყოთ ვითარმცა მოსისხლეობაჲ იქმნა|და თქუენ C123a
ყოველნი თანამედბ³ იქმნენით». B172b

და, ვითარცა ფრიად აურევბდეს⁴ მას, აღდგა
35 წმიდაჲ და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევან-

- გელს³ | თვის და ტირილით ესრეპთ იტყოდა: «უფა- D201ბ
ლო ღმერთო, შენ უწყი ვითარმედ მე გულითად
სიკუდილდ მივალ!» ესე თქუა და წარვიდა მათ თა-
ნა და თანაწარიტანნა ევანგელს თვის და წმიდანი
- 5 იგი წიგნნი მოწამეთანი.
და რაჟამს შევიდა | იგი ტაძრსა⁶ მას, არა და- S18წ
ჯდა იგი თვსსა მას გალიასა⁷ არამედ სენაკსა⁸ შინა
მცირესა. და აღიპყრნა კელნი თვსნი ზეცად წმიდა-
მან ზუზანიკ და თქუა:
- 10 «უფალო ღმერთო! არცა მღდელთაგანი ვინ
იპოვა მოწყალს, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა
შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ
მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსკენს».
- VI. | და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგე- A741ა
15 ლი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თვსთა: «დღეს
მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ეჭა-
მოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა
შემოსვლად!»
- და, რაჟამს შემწუხრდა¹, მოუწოდეს ცოლსა
- 20 ჯოჯიკისასა და ინებეს ერთად პურისა ქამაჲ! რაჲ- D202ა
თამცა მოიყვანეს წმიდაჲ ზუზანიკცა.
- და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს
ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა ზუზანიკისა
რაჲთამცა | მასცა აქამეს პური რაჲმეთუ ყოველნი იგი B173ა
- 25 დღენი უზმასა² გარდაევლნეს.
- და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით³ წა-
რიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხი-
ლა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვნოჲ
ქიქითა და აიძულებდა მას რაჲთამცა იგი ხოლო
- 30 შესუა.
ჰრქუა მას წმიდამან ზუზანიკ რისხვით: «ოდეს
ყოფილ არს აქამომდე თუმცა მამათა და. დედათა A741ბ
ერთად ეჭამა პური?!» და განყარა კელი და ქიქაჲ
იგი პირსა შეაღწეა და ღვნოჲ იგი დაითხია⁴.
- 35 მაშინ იწყო უჯგროსა გინებად ვარსკენ და ფერ-

კითხვა თვსითა დასტურდებოდა მას; და აღიღო ასტა-
მი⁵ და უხეტქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი
ერთი დაუბუშტა; და მჯილითა⁶ სცემდა პირსა მის-
სა; უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მკე- D202ბ
5 ცი მძვინარე ყოიდა და იხახდა ვითარცა ცოფი.

მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ ძმა მისი და
იბრძოდეს ვიდრემდის გუემა⁷ იგიცა და თავსა მისსა C123ბ
მოხეტია და ჭირით⁸ ვითარცა კრავი მგელსა გამო-
ულა კელთა მისთა.

10 და ვითარცა მკუდარი იღვა წმიდა შუშანიკ
ქუეყანასა⁹ ზედა.

და აგინებდა ვარსკენ თესლ-ტომსა მისსა და
სახლისა მაოკრებლად სახელსდებდა მას; და უბრ- B173ბ
ძანა შეკრავა მისი და ბორკილთა შესხმა ფერკთა A742ა

15 მისთა.

და ვითარცა მცირედ დარესცხრა¹⁰ გულის-
წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ
ევდერებოდა მას რაჟთამცა საკრველთა მათგან გა-
ნეტევა¹¹ წმიდა შუშანიკ.

20 და ვითარ ფრად ევდერებოდა, ბრძანა განტე-
ვება მისი და სენაკსა ერთსა შეყვანება და კრძა-
ლულად დაცვა მისი ერთითა მსახურითა და რაჟთა
სხუა არავინ შევიდეს ხილვად მისა: არცა მამაკაცი,
არცა დედაკაცი.

25 VII. და ვითარცა ცისკარ¹ ოდენ იყო, იკითხა
და თქუა მსახურისა მიმართ მისისა ვითარმედ «წყლო-
ლებისა² მისგან ვითარ არს». ხოლო მან ჰრქუა მას:
«ვერ განსარინებელ³ არს იგი».

მაშინ თვთ შევიდა და იხილა იგი და დაუ-
30 კვრდა⁴ დიდძალი იგი სიმსიენს მისი. და ამცნო მსა-
ხურსა მას და ჰრქუა: «ნუმცა ვინ შევალს ხილვად
მისა» და თვთ ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღვდეგ და მივედი და ვარქუ მცველსა A742ბ

მას: «მე ხოლო მარტოა შემიტევე და ვიხილო წყლო-

35 ლება იგი მისი». ხოლო მან მრქუა მე: «ნუუუუე

ცნას და მომკლას მე!» და მე ვარქუ მას: «უბადრუ-
კო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას
შენ მისთვის, რაჲ არს?!» მაშინ შემიტევა მე ფარუ-
ლად.

5 და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი⁵ მისი B174a
დაბძარული და განსივებული და აღუტევე კმა და
ეტிரოდე.

ხოლო წმიდამან ზუშანიკ მრქუა მე: «ნუ¹ სტირ D203b
ჩემთვის, რაჲმეთუ დასაბამ⁶ სიხარულისა იქმნა ჩემდა

10 ღამს ესე».

და მე ვარქუ წმიდასა ზუშანიკს: «მიბრძანე და
მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რო-
მელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუ-
ნი⁷ და წამალი დაგდვა რაჲთა, ჰე, ღამე თუ განი-

15 კურნო!»

ხოლო წმიდამან ზუშანიკ მრქუა მე: «ხუცეს!
მაგას ნუ იტყვ რაჲმეთუ სისხლი ესე განმწმედელი C124a
არს ცოდვათა ჩემთაჲ». S186

|ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჰამადი A743a

20 რომელი მოედღუნა სამოელ ეპისკოპოსისა⁸ და იოვა-
ნეს რაჲმეთუ ფარულად ილუწიდეს და ნუგეშინის
სცემდეს.

მაშინ მრქუა მე წმიდამან ზუშანიკ: «ხუცეს!
ვერ ძალ მიც⁹ გემოჲსხილვად რაჲმეთუ ყბანი და

25 ზოგნი კბილნი შთამუსერილ¹⁰ არიან».

მაშინ მივილე მცირედ ღვნოჲ და პური დავალ-
ბე და მცირედ გემოჲ იხილა. და მე ვისწრაფდი გა-
მოსლევად.

მაშინ მრქუა მე წმიდამან ზუშანიკ: «ხუცეს,

30 მიუძღუნაო სამკაული ესე მისი? ნუ¹¹ ჟუკუე ითხოვ- D204a
დეს, რაჲმეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეკმა-
რების».

ხოლო მე ვარქუ: «ნურას ესწრაფი! იყოს შენ
თანა».

35 და ჩუენდა, ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაჲ B174b

ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუე ვითარმედ „რამ გინებს?“ და მან მრქუა: „უწყეს¹¹ პიტიაშხი“.

და მე დამიკვრდა თუ რაჲსა მე მიწყეს | ამას ჟამსა. A743b

5 და მივისწრაფე და მივედ.

და მან მარქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვაღ ჰონთა¹² ზელა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს: იპოოს ვინმე რომელმან განკაფოს¹³ იგი. მივედ. და მო-

10 მართუ იგი ყოველივე რაჲცა რამ არს“.

ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიაშხსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა.

15 ყოველი გებულად¹⁴ და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე რომელმან ესე შეიმოკოს“.

VIII. და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხ- D204b

ვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირე სენაკი და მუნ

20 დაეყუდა.

და იყო სენაკსა მას მცირე სარკუმელი¹ და დაყო² იგი; და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.

და ჰრქუა ვინმე პიტიაშხსა საკუთარმან მისმან

25 ვითარმედ „ამათ | წმიდათა მარხვათა ნურას ეტყვ მას“. A744a

და ვითარ მოიწია აღვსებისა³ ორშაბათი | და მო- B175a

ვიდა პიტიაშხი ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა გულისა მისსა; და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფუტას: „გამო-

30 მეც ცოლი ჩემი! რად განმაშორებ ჩემგან?“ და იწყო გინებად და გმოზად ღმრთისა სასტიკად.

ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: „უფალო, რაჲსა ეგრე იქმ და იტყვ ეგრეჲთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით

35 ეტყვ?“

ხოლო მან უხეტქნა კუერთხითა⁴ ხუცესსა მას ზურგსა და|მან ვერღარა იკადრა სიტყუად. D205ა

და ეგრტო წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოით-
რია თიკათა შიგან და ქალთა ზედა ეკლესიით ვიდ-
5 რე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი მოეთრია. და
აღგილდ-აღგილდ ქუე|ძეძვ⁵ დაეფინა და თვთ ფერკ- A744ბ
ნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა; და კუბასტნი⁶ შუ-
შანიკისნი და კორცნი წულილ-წულილად დაეძარ-
ნეს⁷ ძეძუსა მას და ეგრტო მოიყვანეს იგი ტაძრად.

0 და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ, ბორო-
ტებდა და იტყოდა: «აჰა გეგერა არა გერგო შენ ეკლე-
სიაჲ შენი და არცა ზურგნი გეგ 'შენნი ქრისტიანენი
და უფალი იგი მათი!».

|და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ, B175ბ
15 არა რაჲ აღმოცა პირსა მისსა ვაფებაჲ, არცა კუნესაჲ.

მაშინლა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა⁸
ვარსკენს: «უბადლო, შენლა თავი თვისი არა შეი-
წყალო და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემო-
წყალო?»

20 |და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი რო- D205ბ
მელ გამოსდიოდა ჩჩვლთა მათ კორცთა მისთა, მა-
შინ უბრძანა დადებად ჯაჰვ ქედსა მისსა და უბრძანა
|სენაკაპანსა⁹ ერთსა რაჲთა წარიყვანონ წმიდაჲ შუ- A745ა
შანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა. შეაყენონ
25 იგი და მოკუდეს.

IX. ღიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ
დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ქამსა, რომელსა
გამოჰყვანდა იგი|ტაძრით, და უნდა რაჲთამცა ჰრქუა S187
თუ «მტკიცედ დეგ!» და თუალი ჰკიდა პიტია|შხ- C125ა
30 მან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ
ჰრქუა: „მტკი...“ ღ დადუმნა ხოლო ღ სივლტოლად¹
იწყო სწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუ-
შანიკ უკამური² და თმაგარდატევებული ვითარცა
35 ერთი ვინმე შეურაცხთაგანი და ვერვინ იკადრა

თავსა მისსა დაბურვად³ რაჲმეთუ პიტიაშხი იგი მეკედრ⁴ D206a
შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას B176a
მრავლითა გინებითა.

და მივიღოდა წმიდისა მის თანა ამბოხი⁵ მრ- A745b
5 ეალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლს ურიცხვ,
რაჲმეთუ უკუანა შეუდგეს, კმაჲ აღემალლა და ტი-
როდეს და იკადეს⁶ ლაწუთა⁷ მათთა და საწყალო-
ბელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშა-
ნიკისთვის.

10 ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას
და ჰრქუა მათ: «ნუ სტირთ, ძმანო ჩემო და დანო
ჩემო და შეიღნო ჩემო, არამედ ლოცვასა მომი-
კსენეთ და ჯმნულმცა⁸ ვარ მე თქუენგან ამიერი-
გან რაჲმეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამო-
15 სრული ციხით!».

და ვითარცა იხალა პიტიაშხმან ამბოხი იგი
და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ მოხუცებულთა და
ყრმათაჲ, მეკედრ მიმოდეს დენინ და მეოტ⁹ ჰყოფნ D206b
მათ ყოველთა.

20 და ვითარცა მიიწინეს კიდსა მას ციხისასა,
ჰრქუა პიტიაშხმან წმიდასა შუშანიკს: «შენდა ეგდენ
ყოფად არს ფერკითა! შენითა სლვაჲ რაჲმეთუ ცოც- A746a
ხალი არღარა გამოსვლად ხარ გარნა თუ ოფხთა
გამოგიღონ!»

25 ღ ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი
ჩრდილოეთ კერძო მცირს და ბნელი და მუნ შეაყენეს
წმიდაჲ იგი. და ჯაჰვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა, B176b
ეგრძლეთვე ედვა; და დაჰბეჭდა ურჩულ[ო]მან ვარსქენ
ბეჭდითა თვისითა.

30 ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხი-
არულ ვარ რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ¹⁰ განვისუე-
ნო“. ხოლო პიტიაშხმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განი-
სუენე!“

მაშინ დაადგინნა მცველნი მას ზედა და ამცნო
35 მათ რაჲთა სიყმილითა¹¹ მოკლან იგი. და ესრეთ

ეტყოდა მათ: „გეტყუ თქვენ: უკუეთუ ვინმე შევი-
დეს მისა მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილენით თავნი C125ბ
თქვენნი და ცოლნი და შვილნი და სახლნი! თქვენნი, D207ა
უბრალომცა ვარ, რაჟ გიყო თქვენ!“

5 X. | მაშინ გამოვიდა ციხით. და მესამესა კვრია- A746ბ
კესა მოუწოდა მცველსა ერთსა, ჰკითხა მას და
ჰრქუა: «აქამოდე ცოცხალა არსა საწყალობელი
იგი?»

ხოლო მან ჰრქუა: „უფალო! სიკუდილდ კერ-
10 ძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით, რაჟ-
მეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების რაჟ-
მეთუ არარას მიიღებს საზრდელსა“.

ხოლო მან ჰრქუა: «ნურარაჟ გგლიან¹, უტე—
მოკუდეს!»

15 ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა
მას და უქაღე ჭურჭერი ერთი სამისოჲ და ძნიად²
თავს იღვა შეტეევებაჲ ჩემი და მრქუა მე: «რავას
ღალამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ».

და ვითარცა შემეყვანა მცველმან მან და ვი-
20 ხილე ტარიგი³ იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა B177ა
სძალი⁴ შემკული საკრველთა მათგან. და მე, ვითარ
ვერ დამითმო¹ გულმან, ვტიროდე ფრიად. D207ბ

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: ! «კეთილისა A747ა
ამისთვის სტირა, ხუცეს?»

25 ხოლო მცველმან მრქუა მე: «ესელა თუმცა
მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ».

ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად
მისა, რაედენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და
ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად⁵ ჩემდა.

30 ხოლო პიტიაშხი ჩორდ⁶ წარემართა. და ჯოჯიკ
ძმაჲ მისი არა დახუდა, ოდეს საქმს ესე იქმნა წმი-
დისა შუშანიკის ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ,
უკუანა სდევდა პიტიაშხსა და მიეწია მას საზღვართა
ჰერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიად რაჲთამცა

35 ბრძანა საკრველთა მათგან განტეევებაჲ მისი.

და ვითარ ფრიად აწყინა⁷, ბრძანა განტევენაჲ
საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ,
აღჰყადა ჯაჰკ იგი ქედსა მისსა. ხოლო ბორკილთაჲ S188
არა თავს იღვა წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრულ- A747b
5 ლამდე მითურთ. D208a

რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღა-
სრულა და წესიერებითა საღმრთოთაჲთა ყუაოდა: მარხ-
ვითა მარადის, მღვდარებითა, ზედგომითა, თაყუანის B177b
ცემითა: უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყი- C126a
10 ნებელად: განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი
ციხს სულიერითა მით ქნარითა.

XI. ღა მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა
საქმს მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნა-
თქუემთა შეწირვად და, რაჲ ვის უკმა¹, მიემადლე-
15 ბოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა
რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვი-
ლოთა შვილი, სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თულთა
ახილვაჲ.

იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ², რო- A748a
20 მელსა განბორებისა საღმრთოჲჲ აქუნდა, და მოვიდა
იგი წმიდისა შუშანიკისა. ხოლო იგი ასწავებდა მას D208b
რაჲთამცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა იგი ქრის-
ტიანე.

ხოლო დედაკაცმან მან თავს იღვა აღრე-აღრე.
25 და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა ვითარ-
მედ «მივედ იერუსალიმად და განსწმიდნე განბორე-
ბისა მაგისგან შენისა».

და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარე-
მართა გზასა მას სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ
30 ქრისტისითა და განიკურნა იგი საღმრთობისა მისგან.

და ვითარ გარემოიქცა⁴ იგი სიხარულითა დი-
დითა და მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუ-
შანიკისა მადლისა გარდაცდად და წარვიდა სახიდ⁵ B178a
თვსა სიხარულით განმრთელებული.

35 XII. ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვალად ქიქნა-

უბტისა¹ საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა კელთა A748ბ
ალიხუნა² დავითნი და მკირეთა დღეთა შემდგომად
ასერგასისნი³ იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომელ-
თა|იგი დღს და ღამეს ზესკნელისა⁴ მის მეუფისა D209ა
5 მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს ვითარმედ «შვილ-
ნი იგი შენნი მიაქცინა მოგობასა».

მაშინ იწყო თაყუანისცემად ღმრთისა მიმართ ტი-
რილითა დიდითა და თავსა თვსსა ქუეღამარაჲ⁵ სცემდა,
10 სულთითქუნა⁶ ზე თქუა: «გმადლობ შენ, უფალო ღმერ-
თო ჩემო, რაჲმეთუ იყენესე არა ჩემნი, არანედ შენნი
მოცემულნი იყენეს! ვითარცა გნებავს, ჩუენ ნებაჲ
შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა!»

|და მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ C126ბ
15 დამშრშალი⁷ და დაბუშებული⁸ ტირილითა. და, რაჲ-
მეთუ მოეძღუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდე-
ლი*|და ვითარ ფრიად ვაძულე, მკირედ ოდენ გე-
მოჲ იხილა და გმადლობდი ღმერთსა.

და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შეილნი იგი
20 მისნი ხილვად დედისა თვისისა; ხოლო რაჲამს მიაქ-
ცინეს და უფარ ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს⁹
ხილვად მისა არამედ სახელციკა მისი სძაგდასმენად. B178ბ

XIII. და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტი-
აშხმან და ჰრქუა: «ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ
25 ტაძრად! უკუეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე
შენ ანუ კარად კარაულითა!».

ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა² ესრათ:
«უბადოვო³ და უგულისხმოვო!⁴ ხოლო მე თუ კარად
ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის თუ მუნ კეთილსა
30 რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე⁵».

და გულსა ეტყოდა პიტიაშხი იგი სიტყუათა მათ-
თვს, ვითარ იგი ჰრქუა მას ვითარმედ «ვინ უწყის
თუ კეთილსა რასმე მივემთხვო⁶», ვითარმედ «ნუუკუე
მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს!» და მიერთგან არღა-
35 რავინ მიავლინა მისა.

ხოლო წმიდა შუშანიკ ბოროტთა მათ გუე- S189
მათა და თმენათათჳს იტყოდა რაჲთამცა სათნო ეყო
ღმერთსა.

ხოლო პიტიაშხან გამოარჩია ძუძუჲსმტე⁷ მისი D210ა
5 საკუთარი რაჲთა მოიყვანოს იგი ტაძრად.

და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: «ისმინე ჩემი
და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოკრებ⁸ სახლსა მას
თქუნესა», ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «არქუ მას
ულმართოსა ვითარმედ შენ მომკალ და მარქუ მე:
10 ცოცხალითა ფერკითა არა გამოხვდე შენ მაგიერ⁹
ციხით! ხოლო აწ, უკუეთუ¹⁰ შემძლებელ ხარ მკუ- B179ა
დარსა აღდგინებად, პირველად დედაჲ შენი აღად-
გინე რომელი ურდს¹⁰ დამარხულ არს. გარნა თუ
მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა
15 შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმი-
თრიო!»

და ვითარცა მიუთხრეს პიტიაშხსა სიტყუაჲ იგი C127ა
და მან თქუა: «ნანღვლევე ვთქუ ეგე!»

და მეორესა დღესა შემო-ვინმე-ვიდა¹¹ და ჰრქუა
20 წმიდასა შუშანიკს: „კეთილად მიუგე მას სიტყუაჲ
იგი რაჲმეთუ მაგით სახით ეგულვებოდა, შეტყუილი¹² D210ბ
შენი და მას სხუაჲ ზრახვაჲ გულსა მოეკადა სიბო-
როტისაჲ შენთჳს“.

წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «და შენ ღმერთი
25 ძილსა შინა ნუ გგონიეს რომელმან განუმზადნის
სიტყუანი პირსა კაცისასა! რაჲმეთუ იტყჳს თვთ უფა-
ლი: მე მიუგო სიტყუაჲ თქუნე წილ!»

XIV. და ვითარცა აღივსებოდა მეექუსე იგი
წელი საპყრობილესა მას შინა, ჯეკმა¹ დამაშურა-
30 ლობითა² შრომათა მათ შინა სიმკნისა მისისაჲთა
სენი სნეულებისა მოიწია მის ზედა რომელსა იგი
წინაჲსწარ უღალადებდი და გეტყოდი ვითარმედ «ნუ
ჯეკმა, რაჲმეთუ დაუმძიმებ კორცთა მაგათ ზედა,
რაჲმეთუ ვერ დაგიტომონ და მერჲე ვერლარა შემძლე-
35 ბელ იყო ყოფად რაჲსმე საქმედ კეთილსა ეგოდე-

ნითა მაგით ფიცხლად მარხვითა და მარადის ზედგო- B179ბ
მითა და ლამე ყოველ დაშრომითა, ფსალმუნებითა
ღ გალობითა». და არცალა მცირედ სადა სცა; კორცთა D211ა
მისთა განსუენებაჲ და შეიქმნა და დადნა ვითარცა
5 ავლი³.

ხოლო დიდთა მათ მარხვითა აღესებისათა ერგა-
სისთა⁴ მათ დღეთა, ექუსთა წელთა შინა, არცა
დღისი, არცა ლამს არა დაჯდის ქუე, არცა დაძინის,
არცა საქმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კვრია-
10 კესა ეზიარის კორცსა და სისხლსა ქრისტის ღმრთისა
ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენაკი მხლისა შექმნუ-
ლი იგიცა მცირედ მიიღის, ხოლო პურისა გემოჲ
არა იხილის ვიდრე აღესებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინაჲთგან ჰყრობილ ყვეს
15 იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა⁵ ზედა თავი არა
მიდგის, გარნა ალიზაკი⁶ ერთი დაიდვის სასთუნალ⁷.

და ქუესაგებულად იყო გირჯაკი⁸ ერთი ძუელი
და კაცთა თუალსა სასთაულაკი⁹ ერთი ხალენისა¹⁰
უცნ სასთუნლით კერძო.

20 და თაყუანისსაცემულად კილიკი¹¹ ერთი მცირე C127ბ
ქუე წარუდგებიედ და გრწყილი და ტილი მოუგო- D211ბ
ნებელი ადგილსა მას დასხმულ იყო.

ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი B180ა
მკურვალეზაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი¹² და წყალნი
25 მანებელნი; რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი
საესენი სენითა, წყლითა განსიეებულნი და განყვი-
ლებულნი, დაწერტილნი¹³ და დამშრშალნი¹⁴ და
დამღიერებულნი¹⁵, ჩარადოვანნი¹⁶, პირმსივანნი და
დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა-
30 ვინ არს მათ ქუეყანათა.

და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ ჰყრო-
ბილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა აღიდებ-
და ღმერთსა.

XV. და ვითარცა მეშვდე წელი დადგებოდა,
35 მოიწია წმიდისა და სამეზისსანა ~~ქრისტესი~~ ქრისტიანის

ზედა წყლულებამ¹ კორცთა მისთაჲ და დაუცხრო-
მელად შრომათა მათ გამო დაუსივდეს ფერკნი|მისნი S190
და თხრამლი² აღმოსდიოდა ადგილდ-ადგილდ. D212ა

და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა
5 დასხმულ იყო წყლულთა მათ, რომელ იგი აღიღო კე-
ლითა თვსითა ზე მიჩუენებდა მე ზე მადლობდა ღმერთსა.
და თქუა: «ხუცეს! ნუ მძიმე გიჩნ ესე რაჲმეთუ.
მუნ³ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების».

და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგო-
10 ნებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე|ფრიად. B180ბ

კულად მრქუა მე რისხვით: «ხუცეს, რად მწუხარე
ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შექმისა უმჯობეს
იყავნ ამათი მოკუდავთაჲ შექმაჲ აქავე ამას ცხორებასა!»
და მე მიუგე და ვარქუ: «ძაძისა სამოსელი⁴ მცი-
15 რედლა შეგერაცხაა საგუემელად და აწ მატლთა მა-
გათთვს მხიარულ ხარ?!»

და მან მრქუა მე ქენებით⁵: «ნუ ვის თანა იტყვ
ძაძისა სამოსლისათვს ცხორებასა ჩემსა რაჲმეთუ
ადრე ყოფად არს დატევებაჲ უბადრუკთა ამათ D212ბ
20 ხორცთა ჩემთაჲ!»

რაჲმეთუ შინაგან ძაძაჲ ემოსა და არავინ იცო-
და ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა
ან|ტროქიისა პალეკარტი⁶ ემოსა. C128ა

XVI. და ვითარცა ესმა ჯოჯიკს ვითარმედ მი-
25 ახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ
სიკუდილდ, წარვიდა და თანა წარიყვანნა ცოლი და
შვილნი და მონა-მკეველნი¹ მისნი და მივიდა ციხედ
ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტვლისა².

და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა³
30 და თაყუანის სცა პატიოსანსა ჯუარსა* და მოიკითხა
წმიდაჲ შუშანიკ, თანა დაუჯდა და ჰკითხვიდა სალ-
მობათა⁴ მათთვს.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: «კეთილ ვარ, ვითარ
ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსავაღსა მას
35 გზასა მეცა წარვალ!»

|ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზედა, პირ- B181ა
ველთა მათ უწყესთა საქმეთა აღუვარებდა და ევედ-
რებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: „სძალო
და მკველო |ქრისტსო! ითხოვე ღმრთისაგან რაჟთა D213ა
5 მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი!“

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «თუ შენ
სხუდ სახედ ყრმებრ არარაჲ ჰქმენ, ღმერთმან მო-
გიტევნეს შენ!»

და ჯოჯიკ ჰრქუა: „მაგის სახისათჳს მოვედ მე
10 შენდა რაჟთა, რომელი იგი არარაჲმე სათნო⁵ იყოს
ღმრთისა, არა ექმნე“.

წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «უკუეთუ ეგე ეგრტო
ყო შენ, უკუდავ მექმნე მე მაგით სიტყვთა და
ღმერთმან შესძინენ ღლეთა ცნობებისა შენისათა».

15 და მერმე, ვითარ შეატყუა ჯოჯიკ ვითარმედ
მას ღლესა განვალს წმიდაჲ იგი კორცთა ამათგან,
ჰრქუა: «მაკურთხე მე და ცოლი ჩემი მკვეალი შენი
და შვილნი ჩემნი და მონა-მკვეალნი ჩემნი! და, თუ
რაჲმე შეგცოდეთ ვითარცა კაცთა საწუთროჲსათა⁶
20 და სოფლის მოყუარეთა, მოგვტევენ და ნუ მოიკ-
სენებ მედგრობათა⁷ ჩემთა!»

|ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და D213ბ
ცოლსა მისსა: «ჰყავთ წარმდებად⁸ საქმც ესე ჩუენი
რაჲმეთუ არაჲინ იპოვა კაცთაგანი რომელსამცა აქუნ-
25 და წყალობაჲ და ტკივილი ჩემთვის, რომელმანცა B181ბ
შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროჲსა მეუღლესა».

ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ თჳნიერ⁹ შენსა | C128ბ
ფრიად დავშუერით გარნა არა იყო სმენაჲ, არცა
სიტყუაჲ“.

30 მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ: «განვისაჯნეთ
მე ღმრთისკენ პიტიაშხი მუნ, სადა იგი არა არს თულთ-
ლებაჲ¹⁰, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა ღმრთისა
მის მეუფეთასა! სადა არა არს რჩევა¹¹ მამაკაცისა და
ღმრთისა, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუთ
35 წინაშე ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა! მიაგოს

- მას უფალმან, ვითარ მან უფამოდ ნაყოფნი ჩემნი
მოსთულნა¹² და სანთელი ჩემი დაშრიტა¹³ და ყუა- S191
ვილი ჩემი დააქნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემი-
საჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა! და
- 5 ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის! ხოლო
მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა რაჲმეთუ ტანჯვითა
მისითა მე ღზინებაჲ ეპოვო და გუემათა და თრე-
ვათა მისთათჳს მე განსუენებასა მიევმთხზო და უგუ-
ლისხმობისა და უწყალობისა მისისათჳს მე წყა-
10 ლობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩემისა!»
ხოლო იგინი ამას ყოველსა ზედა სიტყუასა მისსა
ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს: „მოგვტევენ ბრალნი
ჩუენნი და გუაკურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარ- B182ა
ტვლო სანატრელო ქრისტეს ღმრთისაო!“
- 15 ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «ღმერთმან
მოგიტეენინ რომელ რაჲ იგი ჰყავთ!» მაშინლა
აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და
მონა-ჰყევალნი მისნი და ყოველი ეზოჲ და პალატი¹⁴
მისი და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და
20 ეტყოდა ვითარმედ «ესე ყოველი ცხორებაჲ ვითარ-
ცა ყუავილი ველთაჲ წარმავალ არს და დაუდგრო-
მელ, და ვინ სთესა—მოიძკო და ვინ განაბნია გლა-
ხაკთათჳს — შეიკრიბა და რომელმან წარიწყმიდოს
თავი თჳსი მან პოოს იგი რომელმან ადიდა იგი!»
- 25 და უჯჳმნა¹⁵ და გამოგზაენნა იგინი მშჳღობით.
XVII. მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოიწია
თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოველ¹ და იოვანე ეპის-
კოპოსი მისივე მოყუასი² რომელ იგი იყვნეს განმა-
მტკიცებელ და დიდად დამაშურალ, სახლეულითურთ
30 თანაყოფით იყვნეს! მონა და მონაწილე იყვნეს და C129ა
თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარგზაენი-
დეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა.
- მსგავსად მისევე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი
და ზეპურნი დედანი³, აზნაურნი და უაზნონი⁴ სოფ-
35 ლისა ქართლისანი მოვიდეს. ეგრცითვე, რომელნი D215ა

იგი გულსმოდგინებით მ'ონაწილე ყოფილ იყვნეს B182ბ
შრომათა მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახო-
ვანსა⁵ მკნესა მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი
5 იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი ერთბამად⁶, რაათა
ბორკილი იგი ფერკთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთ-
ხეჲად ყოველთათჳს.

რომლისათჳსცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ვი-
თარმედ «მე რაჲ ვარ, არალირისი ესე! ხოლო ღმრთის-
10 მოყუარებისა თქუენისათჳს ხუცესმან აღავსენ⁷ წადი-
ლი თქუენი მაგის სახისათჳს. ხოლო მე რაჲმე რაჲ
შემძლებელ ვარ? არამედ ყოვლად საესეჲმან ქრისტე-
მან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა რო-
მელნი ესე ჩემთჳს მოშუერი⁸ და ეზიარენით ვნე-

15 ბათა ამათ ჩემითა და კირთა და ტანჯვათა. ხოლო D215ბ
მე, საყუარელნო, აჰა ესერა⁹ წინაგანმზადებულსა
მას ჩემდა გზასა წარვალ საუკუნესა! კირისა ამის
წილ ჩემისა ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული,
სატანჯუელთა ამათ წილ განსუენებაჲ, გუემათა ამათ
20 ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა—მივემთხვო მე
დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა!»

და იგინი ჯმნულნი¹⁰, ცრემლითა საესენი, ძლე-
ვისა მისთჳს დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვი- B183ა
დეს და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს.

25 XVIII. და მოიწია დღჳ იგი წოდებისა მისი-
საჲ. და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა
აფუტს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლე-
ბისა¹ მისისათჳს ვითარცა მამასა და მამამძღუძესა²;
შემვედრა³ მე|კაცი| ცოდვილი და გლახაკი ესე; და D216ა
30 'შეჰვედრებდა ნეტთა⁴ მათ ძუალთა მისთასა და C129ბ
უბრძანებდა დასხმად აღგილსა მას, ვინაჲცა⁵ იგი
პირველ გამოითრიეს, და ეტყოდა:

«უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკნელი ესე
მეთერომეტე მოქმედი ვენაკისაჲ, იყვენით ყოველნი
35 კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა!» და ჰმადლობდა

ღმერთსა და თქუა: «ქურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩუენი რაჲმეთუ მშვედობით მას ზედა დაეწევ და დავიძინე!» და შეჰვედრა სული თვისი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა. S192

- 5 XIX. ღა მაშინლა ადრე-ადრე მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად¹ მჩუარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთა.

- 10 და ეგრტო სხუათა მათ აღვლეთ გულში იგი ფრიად დამაშურალი ზ დაჰმული მატლთა და განვჰბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა² ზ თხრამლისაგან³ და შევჰმოსეთ მჩურითა მით. D216b B183b

- და მაშინლა ეპისკოპოსთა მათ ორთავე იოვანე და აფუტ ვითარცა კართა მენთა დაუღლივლითა
15 ზესცნელისა მის ფასისათა ყოვლით კრებულთითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა⁴ აღნთებულთა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით⁵ პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით⁶ წმიდასა მას ეკლესიასა.

- 20 და დაჰკრძაღენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატიეცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამს იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლადძლიერსა ღმერთსა და ძესა D217a
- 25 მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განაქუელენის⁷ მამანიცა და დედანიცა და თჳსთა მათ თჳსი იგი ძლიერებისა ძლევაჲ მიჰმადლის ყოველთა რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა.

- 30 XX. ღა არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ თთუესა აპნისისასა¹, მერვესა თთჳსასა და ღღესა ოთხშაბათსა². და მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკსა³, ღღესა ორშაბათსა. C130a
- 35 |და კჳლად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა⁴ ათცხრამეტსა. ზ აღსრულებაჲ მისი—თთუესა ოკღონ- B184a

ბერსა ათშვიდმეტსა, საკსენებელსა წმიდათა მათ და
სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანსთა.⁵

და დღს ხუთშაბათი იყო რომელსა განვაწე-
სეთ საკსენებელი წმიდისა შუშანიკისი⁶ სადიდებე- D2178

5 ლად და საქებელად ღმრთისა მამისა და ძისა და
სულისა წმიდისა რომლისაჲ შუენის დიდებაჲ უკუ-
ნითი უკუნისამდე. ამენ!

შესავალი

* «**და აწ** დამტკიცებულად გითხრა თქვენ» და სხვანი. ეს პატარა მიმართ-
ა ერთგვარს შესავალს წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომისას. ამბავს მოგვი-
ჩრობს, როგორც ქვემოთ ტექსტიდანვე გავიგებთ, შუშანიკის მოძღვარი **იაკობ**
უტესი—პირველი ქართული მწერალი რომლის სახელმა და ნაწარმოებმა
ყენამდე მოაწია.

«გითხრა **თქვენ**», ხოლო ცოტა ქვემოთ: «ესე **მივწერე** თქვენდა». ეს
იტყვები ნათლად გვიჩვენებს რომ იაკობ ზუტესის ნაშრომი ეპისტოლის (წე-
ილის) სახითაა დაწერილი და მიმართულია ვიღაც საპატო პირისადმი (შესა-
ლთა კათალიკოზისა ან რომელიმე მთავრისადმი) რომელიც ალბად იმავე
ეროს ამ თხზულების დაწერის ინიციატორიც (შემკვეთელი) უნდა ყოფილიყო,
როგორც იყო მაგალითად მე-VIII-ე საუკუნეში სამოველ კათალიკოზი იოვანე
აბანის ძისათვის აპო ტფილელის „წამების“ დაწერის საქმეში.

ეპისტოლე ნაანდერძვე ტექსტში იწყება კავშირითა და ზმნისართით:
„**და აწ**“, ხოლო ცოტა ქვემოთ წმ. შუშანიკის შესახებ ავტორი ამბობს რომ
იგი იყო „მოშიში ღმრთისაჲ, **ვითარცა იგი ვთქუთ**, სიყრმითჲან თჳსითა“,
„აჲც ცხადჳყოფს რომ ნაანდერძვე ტექსტს თავში რაღაც აკლია. ვგონებ არ
მეცდებით თუ ვიფიქრებთ რომ ეპისტოლის თავში მოთავსებული უნდა ყო-
ფილიყო მიწერ-მოწერა ავტორისა და იმ პირს შორის, რომელსაც შუშანიკის
„წამების“ აღწერა შეუევითა, მსგავსი იმ მიწერ-მოწერისა რომელსაც ვხედავთ
მაგალითად იოვანე საბანის ძის თხზულების დასაწყისში („წამებაჲ წმიდისა
აბოლისი“). იმ მიწერ-მოწერაში ალბად გაკვრით აღნიშნული ყოფილა შუშა-
ნიკის მთავარი ღირსება („ღმრთისმოშიშებაჲ“). მაგრამ ის მიწერ-მოწერა შემ-
დეგ, როგორც ჩანს, დაკარგულა ან რედაქტორს საჭიროდ აღარ დაუნახავს
მისი შემოტანა თავის ვრცელს კრებულში (==საეკლ. მუზეუმის ხელნაწერი
ნ. მწ=1.). ამავე რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს ტექსტის დღევანდელი სა-
თაურიც: „თთუესა ოკლანდერსა. ი. წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“.

თ ა ვ ი 1-ე ლ ი

1. «**მერვესა წელსა სპარსთა მეფისა**სა კარად სამეფოდ წარემართა
ვარსკენ პიტიაშხი ძე არშუშახი». აქ დასახელებული **არშუშა**, როგორც
სომხის ისტორიკოსი ლაზარე ფარაბელი მოწმობს, ყოფილა «**ქართლისა პიტი-
აშხი**» („პიტიაშხი“ სპარსული სამოხელეო სახელი იყო რომელსაც განაპირა
პროვინციების სამხედრო მმართველები, მეფისნაცვალნი, ატარებდნენ), თანამე-
დროვე სპარსეთის მეფის იზდიგერდ მე-II-ისა (439—457 წ.); ხოლო მისი
შვილი ვარსკენი—სპარსეთისავე მეფის ბეროზის ანუ პეროზის (459—484 წ.)

თანამედროვე იყო და მისსავე მეფობაში („ოც და მეხუთე წელს“) მოიკლა ქართლის მეფის ვახტანგ I-ელისაგან (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ I, გვ. 185 და 229. შეადარეთ ჩვენი „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ ნაწ. II, გვ. 99). ცხადია მაშასადამე რომ ჩვენი ტექსტის სიტყვები „მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა“ პეროზ-მეფეს გულისხმობს (მისმა წინამოადგილემ ჰორმუზდმა მარტო ორ წელს იმეფა 457—458 წწ.); და ამგვარად ჩვენი მოთხრობის დასაწყისი ეკუთვნის პეროზის მეფობის „მერვესა წელსა“: 458+8 ანუ 466 წელს.

2. «ასული ვარდანისი სომეხთა სპაჰპეტისაჲ». სპაჰპეტი ანუ სპასპეტი—მხედართმთავარი, ჯარების უფროსი. აქ დასახელებული ვარდან სომეხთა სპასპეტი, შუშანიკის მამა, ცნობილი საისტორიო პირია, მამიკონიანთ საგვარეულოდან, სომეხთ კათალიკოზის საკ. დიდის შვილიშვილი (იხ. *Исторія Арменіи Мовсеса Хоренскаго*. Нов. перев. Эммина. Москва. 1893 г., стр. 196—199; 206; 209; 211).

3. უბადრუკი—უბედური, ყოველგვარს ცხოვრების სიკეთეს მოკლებული.

4. «თაყუანის სცემდა ცეცხლსა». ქრისტიანობამდე ბევრით დარე ჩვენს წინაპრებს შეთვისებული ჰქონდათ სპარსელებისაგან მაზღეიანობა ანუ ზოროასტრის რელიგია რომლის განუყრელ ატრიბუტს შეადგენდა ცეცხლის თაყვანისმცემლობა: ცეცხლი ქვეყნიურ სიმბოლოდ ითვლებოდა ზეციერის ნათელის ღმერთის აპურამაზდისა ანუ არმაზისა. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ჩვენი ცეცხლის თაყვანისმცემლობა დიდ განსაცდელში ჩავარდა. ამას კარგად ხედავდნენ სპარსეთის შაჰები და ყოველ ღონეს ხმარობდნენ—მაზღეიანობა საქართველოში შეემარგებინათ: მე-V-ე და მე-VI-ე საუკუნეში მაზღეიანობისა და ქრისტიანობის ბრძოლამ სომეხთსა და საქართველოში უმწვერვალესობამდე მიაწია, განსაკუთრებით ვახტანგ I-ელის მეფობის პირველ ნახევარში (ივ. ჯავახიშვილის „ქართვ. ერის ისტორია“ I, გვ. 234—237. შეად. ჩვენი „წერილები საქართვ. ისტორიიდან“ II, გვ. 95—96). სწორედ ამ დროს ეკუთვნის ვარსკენ-პიტიაშხის მიქცევა მაზღეიანობისადმი

5. «სათნო ეყო»—კეთილად მიეჩნია; სათნოყფა—კეთილად მიჩნევა; სათნო—სასიამოვნო, კეთილად მისაჩნევი.

თ ა შ ი მ-ი-ე

1. «იჯმნა პიტიაშხიან»—გამოშორდა, გამოეცალა, გამოესალმა; ჯმნა—გაცლა, განშორება, გამოსალმება.

2. «საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას შერეთისასა». ამ ფრაზიდან აშკარად ჩანს რომ „ქუეყანაჲ შერეთისაჲ“ ქართლის სამეფოს საზღვრებში ყოფილა მოქცეული. მართლაც «შერეთი» საქართველოს აღმოსავლეთის ერთ-ერთი განაპირა კუთხე იყო (იხ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ ნაწ. II, გვ. 305—310), როგორც თვით ჩვენი ძეგლის ტექსტიდან ჩანს, ადგილი ფრიად ცუდპოინი, ციებ-ცხელებიანი და ძნელგასაძღისი (იხ. ტექსტი თავი XIV’).

3. დიასპანი ანუ დესპანი—მოციქული; სადიასპანო—სადესპანო, მოციქულის შესაფერისი.

4. „დაბა“—იმ დროს უდრიდა ღღევანდელ „სოფელს“.

5. ცურტავი—ეს სოფელი, როგორც ჩანს, ჰერეთში მდებარეობდა, მაგრამ ნიშანდობლივად სად იყო—არ ვიცით (იხ. ჯავახიშვილი—ქართვ. ერის ისტორია, წ. II, გვ. 307--308). როგორც „წამების“ ტექსტიდანაც ჩანს, ცურტავში იმ დროს საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა რომელიც აფუტ ეპისკოპოსს სჭერია. შემდეგს საუქუნეებში ამ ეპარქიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ჩვენი ეკლესიის ისტორიაში (იხ. იქვე წ. I, გვ. 247--248).

6. „კითხვაჲ ჰრქუა“—მოკითხვა მოახსენა, მოკითხა.

7. ცხოველი—ცოცხალი.

8. კადრება—შებედა, გაბედვა. «ვერ იკადრა სიტყუად მისა»—ვერ გაუბედა თქმა.

9. არტოშანი (ფალაურად „ატრუშან“)—ცეცხლის ტაძარი ანუ საცეცხლე; ცეცხლს იმ დროს თაყვანს სცემდნენ სპარსელები და ქართველების მცირე ნაწილი (იხ. ზემოთ თავი I, შენიშვნა 4).

10. ტაძარი—ეს სიტყვა შუშანიკის „წამებაში“ მუდამ აღნიშნავს სასახლეს და არა „საუფლო (სამლოცველო) სახლს“ რომელსაც იქ ბერძნული სახელი „ეკლესია“ ეწოდება.

11. მუნ—იქ.

თ ა ვ ი მ-III-ე

1. ვანი—სადგომი, ბინა, სახლი.

2. მყის—სწრაფად, ერთწამას.

3. ფიჯენ—გავეცალე, გავშორდი (იხ. ზემოთ II, 1).

4. სრსკლი—ხორცისმკამელი სნეულება, რომელსაც დღეს „კუ“-ს ანუ „კიბოს“ ვეძახით (შეად. 2 ტიმოთ. 2, 17).

5. ზელანწერში ეს სიტყვა ორად არის გაყოფილი: „ზუაშიად აღრე“ რადც აზრს აბუნდოვანებს. ჩვენ გვგონია აქ ერთი სიტყვაა და ერთად დავეპყდეთ: „ზუაშიადაღრე“ რომელშიაც ბოლო მარცვლი „რე“ ცნობილი სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „სახეს“, მაგალითად სიტყვებში: „ეგრე“, „ასრე“ (ამ+სახით). „ზუაშიადი“ ან „ზუაშიადი“—დაფარული საქმე, გულისპასუხი; აქედან „ზუაშიადაღრე“—დაფარულად, საიდუმლოდ, ე. ი. საიდუმლოს სახით.

6. „უწყადი და აღწერა“. „უწყადე“—გუწყადე, ვიცადე.

7. განყენება—განშორება, მოცილება. „განყენენ“—განშორდნენ, მოცილდნენ ერთმანეთს.

თ ა ვ ი მ-IV-ე

1. ზრახვა—რჩევა, ღარიგება, ჩაგონება.

2. ზაკუვა--ცბიერება, პირში მიფერება ბოროტის განზრახვით.

3. შემთხვევა—წინ შეხედრა. «სიხარულით შეგვმთხვნა»—სიხარულით შეგვხვდა, მივიღო.

4. „კელმწიფება“ და „კელი“ ნიშნავს უფლებას; «რამა კელ იწიფა»—რისთვის მისცა თავისთვის უფლება, როგორ გახდება.

5. ხატი—პირისახე, სახე. მაგრამ შესაძლოა ეს სიტყვა აქ უუძველესი მნიშვნელობით იყოს ნახმარი, სახელდობრ ნიშნავდეს „ღვთაებას“, „ღმერთს“ (იხ. ნ. მარის: О религиозн. въззаваніяхъ анхазиовъ, стр. 125—127. მისივე: Кавказовѣдѣніе и анхазскій языкъ, стр. 25), „სალოცავ სიწმიდეს“. ამას განსაკუთრებით გვაფიქრებინებს ესევე სიტყვა შუშანიკის პასუხში ცოტა ქვემოთ: „არაფთუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ. ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტულენი და ეკლესიანი აღაშპნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ... მან ღმერთი ცათაჲ და ქვეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჰეშმართი უფარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც“ და სხვანი. აშკარაა, თუ ვარსკენი არა, შუშანიკი მაინც თავის პასუხში „ხატს“ ამ მეორე (სალოცავი სიწმიდის) მნიშვნელობითაც ჰგულისხმობს.

6. სამარტულ—მოწამეთა (მარტულთა) სამარხი. მარტული—სარწმუნოებისათვის ტანჯული, მოწამე.

7. შემოხუმა—შინ მიღება, შემოყვანა.

8. სახიდ—შინ, სახლში.

9. დენი—ბოროტი არსებანი რომელნიც, მახდებიანობის (ზორაოსტრის სარწმუნოების) მიმდევართა წარმოდგენით, სიბოროტისა და სიბნელის ღმერთს არიამან ახლდენ და ემსახურობდენ (იხ. ჩვენი „საქართველოს ისტორია“ მეორე გამოცემა, გვ. 37—38). როგორც ნაშთი ჩვენი ხალხის ძველი რწმენა-შეხედულებისა დღეი დღესაც ცოცხალია ზეპირსიტყვაობაში (ზღაპრებში და არაკებში).

10. ბრდღუნა ანუ ბრდღენვა—გაბრაზებით ყვირილი, ღრიალი და ტოტით მიწის თხრა (როცა მხეტყ იტყვიან).

თ ა ზ ი მ ე - I - 2

1. „განჩინება“—აქ ეს სიტყვა ჰნიშნავს გამოჩინებას, სახელის განთქმას.

2. წარწყმედა—დაკარგვა, დაღუპვა.

3. თანამდები—მოვალე.

4. ურვა, ურვება—წუხილი, შეწუხება, შეხვეწნა.

5. ევანგელ—ბერძნული სიტყვაა «ევანგელიონ»==სახარება. ჩანს იაკობ ხუცესის დროს ქართველთა შორის ჯერ კიდევ სახარების ბერძნული სახელი ყოფილა ხმარებაში.

6. იხ. ზემოთ შენიშვნა 10, თავი მე-II-ე.

7 და 8. გალიაკები (გაჰიაკი) და სენაკები იმ დროინდელ სასახლეებში (==„ტაძრებში“) სხედასხვა ოთახებს ეწოდებოდა. სენაკები იყო დიდთა და მცირეთა. დიდებულის აზნაურ-მოხელის ცოლს იმ დროს საკუთარი სენაკი

ჰონია რომელსაც, როგორც ჩანს, გალიაკი რქმევია (შედ. ივ. ჯავახიშვილის: „ქართვ. ერ. ისტორია“ I, გვ. 233). მაგრამ „სენაკი“. ცალკე პატარა სახლსაც ეწოდებოდა, მაგალითად ეკლესიის ეზოში.

თ ა ვ ი მ-VI-მ:

1. შემწუხრება—შელამება.
2. უზმაჲ, უზმოჲ—უჭმელი.
3. ძლით—ძალით.
4. დათხევაჲ—დაღვრა, დაქცევა.
5. ასტამი—ცომის ასაფხეკი ტარიანი ბრტყელი რკინა.
6. მჯილი—მუშტი.
7. გუემა, გვემა—ცემა.
8. „ჭირით“ ე. ი. გაჭირვებით, დიდის წვალებით.
9. ქუეყანაჲ—მიწა. იმ დროს ეს სიტყვა ნიშნავდა მხოლოდ დედამიწას. ეტყობა—იმ ოთახს, სადაც აქ აღწერილი სცენა ხდებოდა, მიწის იატაკი ჰქონია.
10. დაცხრომაჲ—დაუტყება, დამწვინდება. „და-რე-სცხრა“—თითქოს და-შვილდა.
11. განტევებაჲ—გაშვება, განთავისუფლება.

თ ა ვ ი მ-VII-მ:

1. ცისკარი—განთიადი.
2. წყლულებაჲ—ჭირილობა, იარა.
3. განრინებაჲ—გადარჩენა, მორჩენა. განსარინებელი—გადასარჩენი, მო-არჩენი.
4. „დაკვრებაჲ“—გაკვირება, გაოცება.
5. აქ კი ეს სიტყვა მხოლოდ „სახეს“ აღნიშნავს (შედ. ზემოთ თავი IV, ჰენიშენა 5).
6. დასაბამი—დასაწყისი.
7. სალბუნი—მალამო.
8. ამ სამოველის შესახებ იხ. უფრო დაწვრილებით ქვემოთ თავი XVII, სენიშენა 1-ელი.
9. „ძალ მიც“—ძალ მიძს, შემძილია.
10. შთამუხრავილი—ჩამტვრეული.
11. „უწესს“—უძახის; „მიწესს“—მიძახის (საბა); ვუწესს—ვუძახი, ვუხმობ. ესა—მოხმობა, დაძახება.
12. ჰონები ანუ ჰუნები ცნობილი მეომარი ხალხი იყო, რომელიც იმ დროს მთელს განათლებულ კაცობრიობას (კერძოდ სპარსეთს) თავზარსა სცემდა. ჯათაშორის ამ ჰონებთან ბრძოლაში მოიკლა ვარსკენის მფარველი მეფე სპარ-ჟთისა პეროზი.
13. განკაფევაჲ—მოჭრა, მოწყვეტა.
14. გებაჲ—ყოფნა, არსებობა. „გებული“—არსებული, რაც არის უკლებ-
აღ.

თ ა ვ ი მ-VIII-ი:

1. სარკუმელი—სასინათლო, ფანჯარა.
2. „დაყოფა“—ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს; აქ კი იგაგნიშნავს დაცობას, დახურვას, ამოკავენას. „დაყო სარკუმელი“—ფანჯარა ამოკავენ, დახურა ანუ დახურა და გააუქმა.
3. აღვსება—აღდგომა ანუ საქრისტიანო პასეჟი (იხ. დეკ. კ. კეკელიძე; Литургич. груз. памятники..., стр. XXI და შედ. მისივე: Иерусалимский канонарь VII вѣка, стр. 324 სიტყვა „აღვსება“).
4. კურთხი—ჯოხი.
5. ძეძვ —ეკლიანი მცენარეა, ბუჩქებად იზრდება.
6. კუბასტი—ამ სიტყვას საბა ორბელიანი „ლეჩაქის“ მნიშვნელობა განმარტებს. მაგრამ ესევე სიტყვა ნახმარია „საქმე მოციქულთა“ წიგნში (თავ. 9, მუხლი 39), სადაც მის საბადლოდ რუსულ თარგმანში ზის სიტყვა „рѣшанка“, ხოლო ფრანგულში: „lunique“ (იხ. La Sainte Bible, თარგმან. ლუი სეგონდისა. პარიზი 1910).
7. დაბარება—დაგლეჯა.
8. ურჩულო—ურჯულო. რჩული—რჯული.
9. სენაკაპანი—სასახლეში („ტაძარში“) სადგომო ან სამეფო ოთახები („სენაკების“) განსაკუთრებული მეთვალყურე. სომხ.: „სენეკაპან, სენეკაპეტ“—კამერგერი.

თ ა ვ ი მ-IX-ი:

1. სივლტოლა—გაქცევა, სირბილი.
2. უკამური—ურიგო, შეუფერებელი.
3. დაბურება—დახურება.
4. მკედრ—ცხენზე მჯდომი, ცხენდაცხენ.
5. ამბოხი—არეული ხალხი, ბრბო.
6. იკადეს—იკაწრადენ, იხოკდენ. „იკავე“—ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია ქართველ მთიელებში ამავე მნიშვნელობით.
7. ლაწუნი—ლოყები.
8. ჯმნული—განზორებული (იხ. ზემოთ თ. II, შენ. 1).
9. მეოტი—გაქცეული, გადახვეწილი. ოტება—გადახვეწა, გაქცევა.
10. „მუნ“—„იქ“, იგულისხმება საიქიო ცხოვრება.
11. სიყმილი—შიმშილი.

თ ა ვ ი მ-X-ი:

1. გგლის—გეზრუნების, გრჯის. «ნურარაა გგლიან»—ნურა გრჯის რ. ნურას ზრუნავ.
2. ძნიაღ—ძნელად, გაჭირვებით.
3. ტარიგი—კრავი, სამსხვერპლო ბატკანი.
4. სძალი—საცოლო, სპატარძლო.

5. ვანი—იხ. ზემოთ III, 1.

6. ჩორდი—დაბა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ჰერეთში არამედ ჰერეთის საზღვრების გარეთ. ამას გვაფიქრებინებს თვით მოთხრობის მიმდინაეობა: ჩორდს მიმავალს ვარსკენს მისი ძმა ჯოჯიკი მიეწევა „საზღვართა ჰერეთსათა“ და სთხოვს შუშანიკის შესახებ. (იხ. ამის შესახებ კიდევ ქვემოთ თავი III, შენ. 1).

თ ა ვ ი მ-XI-მ:

1. უმაღა—ესაჭიროებოდა, შეეფერებოდა.

2. „მოგვ“. ზორასტრის რჯულის სამღვდლოებას „მოგვები“ შეადგენენ; აქედან ამ რჯულის დანარჩენ მიმღევართაც, როგორც ჩანს, ჩვენში ძველად „მოგუებს“ უწოდებდნენ: „დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ“. მცხეთაში იმ როს მოგვებს საკუთარი უბანი ეჭირათ, რომელსაც „მოგუეთაჲ“ ეწოდებოდა: ჰოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედაჲ მოგვითხრობს ზონიკა „მოკტევაჲ ქართლისაჲ“ (ე. თაყაიშვილი: Описание... II, стр. 721).

3. «განბორებისა საღმობაჲ». საბა ორბელიანი პირველ სიტყვას ასე განარტებს: „განბორება—კეთრის სნეულება“. ხოლო „საღმობაჲ“ — „სატკივარს“ უწნავს.

4. გარემოკტევა—შემობრუნება, უკან წამოსვლა

5. „სახიდ“—იხ. ზემოთ თავი IV, შენ. 8.

თ ა ვ ი მ-XII-მ:

1. «ტიკნაუხტი საქმს». სიტყვა „ტიკნაუხტი“ ჩვენთვის გაუგებარია. ორი ელნაწერი (CE) ამ სიტყვის ნაცლად სწერს სიტყვას „სასწაული“, მაგრამ ზა გვგონია ეს უკანასკნელი პირველის შესატყვისი იყოს. შესაძლოა ამ სიტყვას კავშირი ჰქონდეს სომხურ სიტყვასთან „ტიკანავუხტ“ რომელიც ნიშნავს: რწყინვალეს, მრავალფეროვანს, ტრელს.

2. აღხუმაჲ—აღება.

3. „ერგ“ ძველი ქართული სიტყვაა (რომელიც დღევანდელ სვანურში მოხალაია) და ნიშნავს „ნახევარს“; აქედან „ერგ-ასი“ ჰნიშნავს „ნახევარ ასს“ ანუ ორმოცდაათს, ხოლო „ას-ერგ-ასი“ იქნება „ას ორმოცდაათი“ (150). აბოთლა, როგორც ვიცით, „დავითნში“ 150 ფსალმუნია.

4. ზესენელი—ის ზემოთი ადგილი, ზეცა.

5. ქუედაპართ—ძირს, დედამიწაზე.

6. „სულთ ითქუნა“—ამოიხენეშა, ამოიხორა. სულთთქუმაჲ—ამოხენეშა, მოოხერა.

7. „დამზრალი“—გამზრალი და უზომოდ დაღლილ-მოწყვეტილი (შეად. ვემოთ XIV, 14).

8. დაბუშებული—დაბუეებული, ძარღვებში სისხლშეყენებული.

* ამ სიტყვით თავდება შუშანიკის „წამების“ უძველესი ხელნაწერის (A) აქსტი და ქვემოთ იბეჭდება დანარჩენი ხელნაწერებიდან (მაგრამ ამის შესახებ იხ. „ვარიანტებში“).

9. „ვერლარა იკადრეს“—ველარ გაბედეს (იხ. ზემოთ თავი II, შენ. 8).

თ ა ვ ი მ-XIII-მ:

1. «უკუეთუ არა მოხვიდე შინ, ჩორღ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა». კარაული—სახლდარ ვირს ნიშნავს; და, როგორც ჩანს, ვარსკენი შუაშანიკს ვირით წარგზავნას ემუქრება. ეტყობა ვირზე შესმა ქალისათვის იმ დროშიაც დამამკირებელ სასჯელად ყოფილა მიჩნეული. მაგრამ ჩვენ აქ ორი გეოგრაფიული სახელი გვინტერესებს: ჩორღი და კარი. ზემოთაც ვთქვით (X, 6) და აქაც ვიმეორებთ რომ „წამების“ ტექსტის მიმდინარეობა აშკარად გვიჩვენებს რომ ეს ადგილები თვით ჰერეთის საზღვრებში არ უნდა ყოფილიყო. თუ სახეში მივიღებთ ჩვენს ხალხში დღემდე დარჩენილს ძველს ჩვეულებას. რომლის ძალითაც დამნაშავე ცოლს ქმარი მშობლებს უბრუნებდა, საშუალება მოგვეცემა ვიფიქროთ რომ ვარსკენის მუქარა შუაშანიკის სამშობლოს (სასომხეთს) უნდა გულისხმობდეს და, მაშასადამე, ზემოაღნიშნული ადგილებიც სასომხეთში უნდა ვეძიოთ: შესაძლოა აქ დასახლებული „კარი“ ქალაქი „კარინი“ ანუ ძველი „თეოდოსიოპოლი“ (ეხლანდელი არზრუმი) იყოს. მაშინ „ჩორღიც“ მის მახლობლად უნდა ყოფილიყო.

2. მიპრქუა—უპასუხა, შეუთვალა.

3. უბადო—უბედური (იხ. ზემოთ I, 3), ავი.

4. უგელისხმო—შეუგნებელი, შეუსმენელი.

5. განვეერ—გადავრჩე (იხ. ზემოთ VII, 3).

6. მიმთხუევა, შემთხუევა—შეხედომა, შეხვედრა.

7. ძუძუესტპ ანუ ძუძუესმტპ—იმავე ძუძუთი გაზრდილი, ძიძისშვილი. როგორც ვხედავთ, შვილის გაზარება გასაზრდელად იმ დროსაც მიღებული ყოფილა ქართველ აზნაურთა შორის.

8. ოკერი—უპატრონო. „ნუ აოკრებ“—უპატრონოდ ნუ სტოვებ, ნუ აობლებ.

9. „მაგიერ“—მანდედან; ისე როგორც „ამიერ“—აქედან.

10. ურდი — შესაძლოა ვარსკენის სამშობლო დაბა იყოს (შეიძლება ეს იყოს ახლანდელი სოფელი „ურუთი“ ბორჩალოს მაზრაში), სადაც დედა-მისი ყოფილა დამარხული.

11. შემო-ვინმე-ვიდა—ვინღაც შემოვიდა.

12. შეტყუილი—შეტყუება, ტყუილით შემოპარვა, მიზიდა და მიბირება.

თ ა ვ ი მ-XIV-მ:

1. ჯეკმა—ნამეტნავი, მეთისმეტი.

2. დამაშურალობა—დაღლილობა, დაქანცულობა.

3. აელი—ფერფლი.

4. „ალესება“ და „ერგასი“ იხ. ზემოთ VIII, 3 და XII, 3.

5. სასთაული—ბალიში.

6. ალიზაკი—გამოუმწვარი პატარა აგური. ალიზი—გამოუმწვარი აგური,

7. სასთუნალი—თაქვეშ დასადები ფიცარი ან სხვა რამ.
8. გირჯაკი—„ქეჩას“ უნდა უდრიდეს: «ქვეშაგები ქმნილი მატყლით რაიმე ანუ ნაბადი».
9. სასთაულაკი—პატარა ბალიში.
10. ხალენი—ლაზლის ძაფის მაზარა, რომელსაც ზოგჯერ, ალბად, საბნადც დაიხურავდა.
11. კილიკი—ბალნის ანუ ლაზლის ფლასი.
12. ხორშაკი—ცხელი შემწველი კარი.
13. დაწერტილი—ჩხვლეთით ნაწამებ-დატანჯული, ნაწვლები.
14. დამშრშალი—იხ. ზემოთ XII, 7.
15. დამლიერებელი—მუნიანი, ქეციათი. მლიერი, მლერი—ძნელი მუნი, ქეცი.
16. „ჩარადოვანი“. ჩარანდელი—ერთგვარი სენია პირისახის დამასახიბრებელი. შესაძლოა „ჩარადოვანი“ აქედან იყოს ნაწარმოები ან ორივე სიტყვა ერთისა და იმავე ძირისაგან.

თ ა ვ ი მ-XV-ი:

1. წყლულება—დაიარაგება.
2. თხრაპლი—მუწუკიდან ნადენი სქელი ბალლამი.
3. მენ—იქ; ამ შემთხვევაში იგულისხმება საიქიო.
4. „ძაძისა სამოსელი“—სამგლოვიარო შავი ტანისამოსი, ძველად სპიომოდ ჩვეულებრივ ლაზლის ძაფის სამოსელი იხმარებოდა.
5. ქენება—ხვეწნა.
6. „ანტიოქიისა პალეკარტი“. პალეკარტი—გარედან წამოსასხამი ტანისამოსი იყო. ანტიოქია სირიის დედაქალაქი იყო. ჩანს ქართველებს იმ დროს ანტიოქიასთან სააღმშენებლო დამოკიდებულებაც ჰქონიათ. ვამბოთ „სააღმშენებლო დამოკიდებულებაც“, რადგან, როგორც ვიცით, ეკლესიურად საქართველო იმ დროს ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა, რომელიც აქ ნიშნავდა ეპისკოპოსებსა და მთავარეპისკოპოსებს (იხ. ამის შესახებ ჩვენი მონოგრაფია: „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ თავი IV. ჟურნ. „მომკვლევ“ 1905 წ. № 5. შეად. ჩვენივე „წერილები საქართვ. ისტორიიდან“ ნაწ. II, 78—79 და 101—106).

თ ა ვ ი მ-XVI-ი:

1. მკვეალი—მონაქალს ეწოდებოდა. და ამგვარად ჩვენ ვხედავთ რომ მკვეალი საუკუნის ქართველ დიდებულებს მთელი შტატი ჰყოლიათ მკვეალთა და მონებისა.
2. მარტული—ბერძნული სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს სარწმუნოებისათვის წამებულს.
3. „მძლავრ შეხოლო-ვიდა“—ხოლო ძალით შევიდა, რადგან მკველები იყვნენ დაყენებული.

* შუშანიკის „წამების“ ქართული ტექსტის პირველი გამომცემელი საბინინი გვარწმუნებს ვითომც აქ მოხსენებული „ჯუარი“ ყოფილიყოს წმ. ნინოს ჯვარი. მაგრამ იმავე „წამების“ სომხური ტექსტის გამომცემელი (ვენეტიკის გამოცემა 1853 წ. გვ. 58, სხოლიო მე-10-ე) ამბობს რომ ეს იყო ჩვეულებრივი ჯვარი და არა წმიდა ნინოსიო: რაც შეეხება წმ. ნინოს ჯვარს, რომელიც წმ. შუშანიკს მართლაც ჰქონდა წამებათა დაწყებამდე, ის ჯვარი მან თავისი კმრის შიშით წინდაწინ სხვაგან გადაშალა და თან კი მხოლოდ ჩვეულებრივი ჯვარი ჰქონდაო. შემდეგ გამომცემელი იძლევა ფრიად საინტერესო საქრონოლოგია ცნობებს წმ. ნინოს ჯვარის მოგზაურობის შესახებ წმ. შუშანიკის აღსრულებიდან თათრების შემოსევამდე ანის ქალაქში 1239 წელს, მაგრამ ამის შესახებ იხ. ქვემოთ თავი XX, შენ. 5, სადაც ლაპარაკი გვექნება შუშანიკის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

4. საღმრთაჲ—სატკივარი (შეად. ზემოთ XI, 3).

5. სათნო—სასიამოვნო (შეად. ზემოთ I, 5).

6. საწუთროჲ—წუთისოფელი, სააქაო ცხოვრება.

7. „მედგრობაჲ“—დღეს ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობს ჩვენი მწერლობა ვინემ ძველად იყო. სახარებაში (მათესი 25, 26) სიტყვა „მედგარი“ ნახმარია „ზარმაცის“, „მცონარის“ საბაღლოდ და საბა ორბელიანსაც ნაჩვენები აქვს ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა: „მედგარი—მცონარი და მოუძღურებელი“ (გვ. 177). ამის მიხედვით შუშანიკის „წამებაში“ სიტყვა „მედგრობაჲ“ უნდა ნიშნავდეს—უძღურებას, სიზანტე-სიზარმაცეს. ჯოჯიკი სთხოვს წმ. შუშანიკს: ნუ მოიხსენებ ჩემს სისუსტეს, ჩემს უძღურებასო.

8. „წარმდებად“. საბა ორბელიანის განმარტებით სიტყვა „წარმდები“ თავისი მნიშვნელობით წინააღმდეგია „თანამდები“-სა და აღნიშნავს ისეთს ადამიანს, რომელიც თავის მოვალეობას, თავის საქმეს არ ასრულებს, მაშასადამე ეინც დაუდევარია და თავისი მოვალეობის არშემგნები (გვ. 376). ამასთან ერთად საბა ორბელიანი ციტატას უჩვენებს ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლეიდან (თავი 3, მუხ. 4), სადაც ეს სიტყვა მართლაც ნახმარია, თუ რუსულ თარგმანს დავუჯერებთ, საბაღლოდ „თავხედი“-სა (наглы), ხოლო, თუ ფრანგულ თარგმანს დავენდით, საბაღლოდ სიტყვისა: importé=ფიცი, ცხარი. ჩუბინა-შვილის განმარტებით ეს სიტყვა ნიშნავს: თავხედს, განუხჯელს, წინდაუხედავს, გარეწარს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შუშანიკს საბუთი არ ჰქონდა თავისი მახლისა და რძლისათვის „თავხედიბა“ გინდ „გარეწრობა“ ესაყვედურებინა, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ რომ შუშანიკის საყვედურში სიტყვა „წარმდებად“ უნდა ნიშნავდეს: „დაუდევრად“, „განუხჯელად“, „აჩქარებით-დაუყვირებელად“, ე. ი. შუშანიკი უსაყვედურებს თავის მახლსა და რძალს: თქვენ ამ საქმეში ვერ გამოიჩინეთ საკმაო შეგნება თქვენის მოვალეობისა და ჩემდამო თანაგრძნობაო.

9. თვნიერ—თანდებულია: გარდა, გარეშე. „თვნიერ შენსა“—შენს გარეშე, უშენოდ.

10. თუალთღება—თუალღება (ეფეს. 6, 9), პირმოთნეობა, პირტურობა და მიკერძება.

11. ე. ი. გარჩევა, განსხვავება.

12. მოსთულე—მოკრეფა (აქედან არის სიტყვა სოველი, ანუ რთველი—ყურძნის მოკრეფა).

13. დაშრეტა—დაესება, დაქრობა.

14. პალატი—სასახლე.

15. განიშორა, გამოესალმა (შედ. ზემოთ II, 1).

თ ა ვ ი მ-XVII-ი:

1. „თავი იგი“ ეპისკოპოსთა **სამოველ**“. ეს სამოველი შუშანიკის „წამებაში“ წინეთაც არის მოხსენებული, მაგრამ იქ უბრალო „ეპისკოპოსად“ არის წოდებული (იხ. ზემოთ თ. VII, შენ. 8). აშკარაა—ექვსი წლის განმავლობაში, როგორმაც შუშანიკის წამებათა დასაწყისიდან მის გარდაცვალების წლამდე განვლო, სამოველს უკვე ეპისკოპოსთა „თავობა“ ანუ მთავარეპისკოპოსობა მიუღია. მაგრამ მატთან და ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იმ დროს საქართველოში მხოლოდ თითო ეპისკოპოსს ასახელებს და კერძოდ ვახტანგ I გორგასალის მეფობაში ერთი—მეორის შემდეგ მართო ორ მთავარეპისკოპოსს იცნობს: იოველსა და მიქაელს, რომელის შემდეგაც (ვახტანგისავე მეფობაში) დასახელებულია პირველი ქართველთა კათალიკოზი პეტრე (ე. თაყაიშვილი: Описание... II, გვ. 721—722. შედ. მისივე გამოცემული „მარიამ დედოფლის ვარიონი ქართლის ცხოვრებისა“, გვ. 177—179). თუ ქრონიკის „იოველ“ გადმოშვროლის მიერ დამახინჯებული „სამოველი“ არ არის, უნდა ვიფიქროთ რომ ქრონიკის ავტორს ხელთ სრული სია არა ჰქონებია: იოველსა და მიქაელს შორის კიდევ ყოფილა „თავი ეპისკოპოსთა“ ანუ „მთავარეპისკოპოსი სამოველ“, რომელიც იოველის მთავარეპისკოპოსობის დროს (ე. ი. ვახტანგის მეფობის I-ელ ნახევარში) უბრალო „ეპისკოპოსად“ ყოფილა, ხოლო იოველის შემდეგ მისი კათედრა მიუღია და ამ ახალი ხარისხით შესწრებია წმ. შუშანიკის გარდაცვალებას.

ჩვენს საისტორიო მწერლობაში არსებობს აზრი ვითომც ეს სამოველი ყოფილიყოს პირველი კათალიკოზი ქართლისა (ივ. ჯავახიშვილის „*Петропiя церковнаго разрыва между Грузiей и Армeнiей въ началѣ VII-го вѣка*“. Спб. 1908, стр. 511—511. შედარე მისივე „ქართველ ერის ისტორია“ I, გვ. 244). მაგრამ ეს აზრი ჩვენ მრავალის საბუთით დეარღვიეთ ამ ექვსიოდე წლის წინეთ (იხ. ჩვენი „წერილები საქ. ისტორიიდან“ II, გვ. 107—111) და მაშინდელ ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებთ. დაესძნეთ მხოლოდ ჩვენი მაშინდელი ნათქვამის შესასწორ—შესავსებლად რომ არა გვგონია ეს სამოველი როდისმე კათალიკოზად ყოფილიყოს. ის სამოველ I კათალიკოზი, რომელიც ქრონიკაში ვახტანგის გარდაცვალებისა (ჩვენი თარიღით 503 წელს) და პირველის კათალიკოზის პეტრე I-ელის შემდგომად მოხსენებული, შეუძლებელია იყოს შუშანიკის თანამედროვე „თავი იგი ეპისკოპოსთა სამოველ“. ამის შეუ-

ძლებლობას გვაფიქრებინებს თვით ქრონიკისავე ცნობა, რომ, როცა პეტრე I-ელი ქართლში კათალიკოზად გამოცხადებულ იქნა, მაშინ სამოველ I-ელი მხოლოდ უბრალო „მონაზონი“ იყო (თაყიშვილი: Описание... II, 722). შუშანიკის წამებათა თანამედროვე სამოველი, როგორც ჩანს, არც მოსწრებია ქართლში კათალიკოზობის დაარსებას (ჩვენის თარიღით 493—495 წლებში. იხ. „წერილები საქართვ. ისტორიიდან“ II, გვ. 101): მისი ადგილი დაუტერია მიქაელ-მთავარეპისკოპოსს, რომლის გაძევების შემდეგაც დაარსდა კათალიკოზობა და „პირველი კათალიკოზი იყო პეტრე I“, როგორც ამბობს „ქართლის მოკცევის“ ქრონიკა (Описание... II, 722) და მას მხარს უჭერს მთელი ჩვენი საერო და საეკლესიო ისტორია მე-V-ე საუკუნიდან მე-XX-ე საუკუნემდე.

2. მოყუასი—მახლობელი, მოყვარე, მეგობარი, ამხანაგი.

3. „ზეპურნი დედანი“—ე. ი. კეთილშობილნი (აზნაურთა ჩამომავლობის) ქალები; „ზეპური“ უდრის სომხურ „სეპუჰ“ რომელიც ნიშნავდა „კეთილშობილს“ (შვალ. История Арменін Моисей Хоренскаго. ემინის თარგმანი. მოსკოვის გამოცემა 1893, გვ. 303); სეფე-ქალები. ეთიმოლოგია ამ სიტყვისა იხ. ნიკ. მარბის: „Этимология двух терминов армянского феодального строя: sepuh=*sepurh и naqarar=*naharar“. Спб. 1898 (==Отд. оттискъ изъ Зап. Вост. Отд. Имп. Русск. Археол. Общ.“ т. XI).

4. „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. ამგვარად ჩვენ ვხედავთ რომ მეხუთე საუკუნეში მთელი ქართლის მცხოვრებლები ორ მთავარ წოდებად ყოფილან გაყოფილნი: „აზნაურებად“ და „უაზნოებად“, ე. ი. თავისუფალ და უთავისუფლოდ. ასეთი დაყოფა, როგორც ირკვევა, უკვე მე-II-ე საუკუნიდან დაწყებულია (იხ. ივ. ჯავახიშვილის „Государств. строй древн. Ирун и древн. Арменіи“ I, стр. 60 და 56—61. მისივე „ქართვ. ერის ისტორია“ I, გვ. 231—232 და ჩვენი „წერილები საქ. ისტორიიდან“ II, გვ. 45—46).

5. აზოვანი—ძლიერი და გულოვანი. მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვა აღნიშნავს „მოღვაწეს“ და შუშანიკის „წამებაშიაც“ ამ აზრით უნდა იყოს ნახმარი (შვალ. ნ. მარბი—Физиолог, стр. 56, 11, სადაც სიტყვა „აზოვანი“ გაღატარგმნილია „მოღვაწედ“==подвижник).

6. ერთბამად—ერთპირად, ერთად.

7. აღესებაჲ—შესრულება.

8. „მოშუერთი“—მოიქანცეთ, დაიღალეთ, გაისარჯეთ.

9. „აჰა ესერა“—აი.

10. ე. ი. გამოსალმებულნი, გამოცოლილნი, მოშორებულნი.

თ ა ვ ი მე-XVIII-ე:

1. მოწლებჲ—გულჩეილობა, მოწყალება, გულშემატკივრობა.

2. მამამძუძჲ—ძიძის ქმარი. ამგვარად შუშანიკი აფუტე-ეპისკოპოსის ცოლის გაზრდილი ყოფილა. იმ დროს ცოლოსანი ეპისკოპოსები ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენში.

3. შევედრება—შეხვეწა; ჩაბარება.
4. ნეშტი—ნეშთი, დანარჩომი.
5. ვინამ—საიდან; „ვინამცა“—საიდანაც.

თ ა ზ ი მ-XIX-მ:

1. შეგრაგნამ—ტილოში შეხვევა.
2. მიწოვანი—მიწიერი, ამქვეყნიური (წინააღმდეგ იმქვეყნიურის „მატ-ლისა“).
3. თხრამლი—იხ. ზემოთ X', 2.
4. კეროვანი—მსხვილი სანთელი, კელაპტარი.
5. აღზუმა—აღება.
6. გამოზუმა—გამოღება, გამოტანა, გამოსვენება.
7. ქელი—მოწყალე, კეთილი. „განაქელნის“—მოწყალე ჰყოს, კეთილ-ჰყოს.

თ ა ზ ი მ-XX-მ:

1. აპნისი ანუ აპანი—იანვარი.
2. ამგვარად შუშანიკის წამება დაწყებულია იანვრის რვას, დღით «ოთხ-შაბათს». მაგრამ, როგორც ვნახეთ (I, 1), შუშანიკის წამება დაიწყო 466 წელს; ამ წელს კი 8 იანვარი **შაბათს** ხდებოდა და არა „**ოთხშაბათს**“; ამიტომ შესაძლოა ამ უკანასკნელ სიტყვაში მარცვლი „ოთხ“ გადაშწერის მიერ იყოს მიმატებული დედნის გაურკვევლობის გამო.
3. «ზატიკი» საზოგადოდ ნიშნავს უქმეს, ღლესასწაულს (კ. კეკელიძე—*Иерусалимский Канонарь*, გვ. 328). აქედან: „აღესებისა ზატიკი“=აღდგომის ღლესასწაული (შეად. VIII, 3).
4. ვარდობის თთუჲ --მაისი.
5. როგორც „წამების“ ტექსტიდან ჩანს (X, XII', XV'), წმ. შუშანიკის გარდაცვალება მომხდარა მის ტანჯვათა დაწყებიდან მეშვიდე წელს, ოქტომბრის 17-ს, მაშასადამე 472 წლის 17 ოქტომბერს. ამ თარიღს საკმაოდ უაზ-ლოვდება და მხარს უჭერს სომხური წყაროების სინქრონოლოგიური ცნობა: ამ ცნობით წმ. ნინოს ჯგვარი შუშანიკმა თავის სიცოცხლეშივე გაგზავნა თავის სამშობლოში („ტარონს“), რათა ეს სიწმიდე ვარსკენს არ ჩავარდნოდა ხელში; შუშანიკის გარდაცვალების შემდგომ ამ ჯგვარმა სხვადასხვა მონასტრებში იმო-გზაურა: 459 წელი დაჰყო ვანანდს ჯვარისმონასტერში, 164 წელი კარის ქალაქს და 142 წელი ანის ქალაქს, სანამ ეს ქალაქი არ აიღეს თათრებმა (1239 წელს); შემდეგ კი უცნაურ იქმნაო (იხ. შუშანიკის „წამების“ სომხური გამოცემა 1853 წ., ვენეციაში, გვ. 59—60, შენიშვნა მე-10). მაშასადამე ამ ცნობით შუშანიკის გარდაცვალება მომხდარა 1239—(459+164+142)=474 წელს. ორი წლით განსხვავება აქ სრულიად ბუნებრივია, რადგან სომხურ წყაროში სრული წლებია ნაანგარიშები და ზედმეტი თვეები მხედველობაში

არ არის მიღებული; ესენი რომ გამოვრიცხოთ განსხვავება სრულიად უმნიშვნელა დარჩება.

6. «და დღე **«ხუთშაბათი იყო»** და სხვა. ჩანს შუშანიკის ხსენება ხუთშაბათს დაუწესებიათ, ე. ი. იმ დღეს როცა იგი გარდაცვლილა. და ეს ცნობაც სრულიად ეთანხმება შუშანიკის გარდაცვალების თარიღს: მართლაც 472 წელს 17 ოქტომბერი „ხუთშაბათი“ დღე იყო.

როგორც «წინასიტყვაობაში» მოვიხსენიეთ, ჩვენი გამოცემის გეგმის თანახმად, აქ უნდა მოგვეთავსებინა ხელნაწერ დედანთა სრული აღწერილობა და უოველგვარი განსხვავება (ვარიანტები), რამც ხელნაწერებში მოიპოვება. ეს მუშაობა უკვე გაწეული გვაქვს და დასაბეჭდი მასალაც სრულიად დამზადებული. სამწუხაროდ თვით ბეჭდვას წინ მრავალი მოულოდნელი დაბრკოლება გადაელობა, უმთავრესად ტექნიკურის ხასიათისა. არამც თუ ქუთაისში, სადაც ტექსტი იბეჭდება, თფილისშიაც ვერ ვიშოვეთ სტამბა, რომელსაც ეტვირთნა დამზადებული დედნის აწეობა: ახლა დრო ისეთია რომ ეველანი გაზეთისა და ანგარიშ-ბალანსების ბეჭდვას რჩეულობენ, ვინემ ისეთი მოსაწყენი და რთული საქმისას, როგორიც ძველი ტექსტებისა და ხელნაწერი ვარიანტების აწეობაა.

ამის გამო იძულებული ვართ— აღნიშნული (უკვე დამზადებული) მასალის გამოქვეყნება შესაფერ დრომდე გადავსდეთ და აქ მხოლოდ ხელნაწერთა მოკლე აღნუსხვას დავსჯერდეთ.

აი ეს ხელნაწერები:

1. საეკლესიო მუზეუმის № 95, რომელიც ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია ლიტეჩითა A. ეს არის უუდიდესი ქართული ხელნაწერი (ეტრატის), რომელმაც ჩვენამდე მოაწია (მისი აღწერილობა იხ. თ. ჟორდარიას კატალოგში I, გვ. 96—114). ამავე დროს იგი უუძველესი ხელნაწერია იმ ხელნაწერთა შორის, რომელნიც „შუშანიკის წამების“ ტექსტს შეიცავენ. გადაწერილია მე-X-ე საუკუნეში ჰარსადის მონასტერში. სამწუხაროდ შუშანიკის წამების ტექსტი ამ ხელნაწერში სრულად არ არის დაცული: ამ ტექსტს აქ უჭირავს მე-15-ე რკუელის უკანასკნელი შვიდი ფურცელი (გვერდები 735 -- 748 = ჩვენის გამოცემისა 1—15 გათავებული სიტყვითა: „საზრდელო“, სტრიქონა 16—17) და, რადგან შემდეგი რკუელი დაკარგულია, ამიტომ შუშანიკის „წამების“ ბოლო აკლია.

სამაგიეროდ „წამების“ ტექსტი სრულად არის დაცული შემდეგს ხელნაწერებში:

2. საეკლესიო მუზეუმის № 130 = B. გადაწერილია მოსკოთეთრ ქაღალდზე ნუსხახეურით 1713 წელს. შუშანიკის „წამების“ ამ ხელნაწერში უჭირავს 168 -- 169 გვერდები.

3. საეკლესიო მუზეუმისავე № 170 = C. გადაწერილია 1733 წელს (დაწერილებითი აღწერა იხ. თ. ჟორდანიას კატალოგში I, გვ. 178—180).

4. იმავე მუზეუმისა № 176 = D. გადაწერილია 1743 წელს.*

აქ აღნუსხული ოთხი ლიტერის (ABCD) გარდა ჩვენი გამოცემის არშეიძებე აღნაშნული გვაქვს კიდევ მისეილ საბანინის გამოცემაღ ლიტერითა S.

„წამების“ ტექსტი არცერთ ხელნაწერში იაგებაღ დაუოფილი არ არის: რომაული ციფრებით მისი იაგებაღ დაუოფა ჩვენ გვეკუთვნის. ნაკვეთებაღ დაჭრა კი უმეტეს შემთხვევაში ხელნაწერი დედნებისა გვაქვს დაცული.

სწორ ფორმისლებში [] ჩასმული სიტყვები და ასოები ჩვენ გვეკუთვნის: იგინი არცერთ ხელნაწერში არ მოიპოვებთან.

ქარაგმინი სიტყვები ეველგან გავხსენით სამეცნიერო აკადემიის მიერ მიღებულის სიის იანახმაღ (გვ. 5—7).

ორასოინი „ოკ“ ჩვენ ეველგან დავსტამბეთ ერთი ასოიი „უ“, იოვთ ისეთ სიტყვებშიაღ კი როგორნიც არიან: „ოკთაღ“ = „უთაღ“ და „იესოკ“ = „იესუ.“ ძირითად ხელნაწერში (A) ზოგჯერ ორასოინის „ოკ“-ეს ნაცვლად ზის მარტო უკანასკნელი ასო კ, მაგალითად შემდეგ სიტყვებში: „მოშკდარ ხართ“, „სიკვდილი“, „იერქა“, „მრქა“, „ფარქა“, „ხაკვიი“ და სხვანი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ეველგან ვიხმარეთ ასო „უ“. მაგრამ საჭიროდ ვრაცბთ, სპეციალისტთა საუურადღებოდ, შემდეგი მოსაზრება დავურთოთ: შესაძლოა — ჩამოთვლილ სიტყვებში ჩვენ საქმე გვექონდეს არა უბრალო გადაწერითს შეცდომასთან (ასოს დაცვებასთან), არამედ სრულიად კანონზომიერ საორთოგრაფიო მოფლენასთან, სახელდობრ, შესაძლოა ასო კ დასახელებულ ფორმებში ფონეტიკურის სისწორით გადმოგვეცემდეს იმ მარტივს ნახევარხმოვანს ბგერას, რომელსაც სშუალო ადგილი უჭირავს უ-სა და ვ-ს შორის და რომლის გამოსახატაღ მე-XVII-ე სუკუნეში „უ“-ბგერე იქმნა შემოღებული. მაგრამ იმავე ძირითად ხელნაწერში (A) ესევე სიტყვები „უ“-ნითაც იხმარება და ამიტომ ჩვენს გამოცემაში უშიარატესობა ჟერჯერობით ამ მართლწერას დავუთმეთ.

* ამ ოთხი ხელნაწერის გარდა ჩვენ ზელთ გვექონდა კიდევ „ქართვ. შორის წ.-ქ. გამ. საზოგადოების“ ორი ხელნაწერი №№ 3637 და 3637, რომელნიც გადმოწერილია მე-12-ე საუკუნეში. პირველი მთავანი წინა ხელნაწერების პირს წარმოადგენს, უკანასკნელი კი უბრალო პერიფრაზია ქართველ წმიდათა „ცხოვრებისა.“

სახელი „ვარსკენ“ და წოდება „პიტიაში“ ძირითად ხელნაწერში ზოგჯერ ასე იწერება, ზოგჯერ კი: „ვარზკენ“ და „პიტიაში“. ჩვენ უპირატესობა პირველ ფორმებს მივუძღვით.

ნათესაობითი ბრუნვა ე-ფუძის სიტყვებში ზოგჯერ სისწორითაა ხელნაწერში დაცული: „ზავლს“, ზოგან კი არა: „ქრისტესი“; ჩვენ ეველგან „სს“ ვბეჭდავთ: „ზავლს“, „ქრისტესი“ და სხვანი.

მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება სიტყვაში „ეგრეთ“ ზოგჯერ სისწორითაა ნახმარი, ზოგჯერ კი არა: „ეგრეთ“. ჩვენ ეველგან პირველი ფორმა ვარჩევთ.

A-ხელნაწერის ნაკლები ტექსტი დანარჩენი ხელნაწერებიდან შევასეთ და ამ უკანასკნელთა ტექსტის ორთოგრაფია შევასწორეთ A-ხელნაწერის შენახული ტექსტის თანახმად.*

სასვენებელი ნიშნები ჩვენის დროისა ვიხმარეთ (იხ. ჩვენი „ქართული მართლწერა“ 1916 წ., გვ. 58—60).

თუმცა ძალიან გეცადეთ, მაინც გამოცემაში რამდენიმე კორექტურული შეცდომა შეგვეპვრა. აი ეს ადგილები:

გვერდი	სტრუქტონი	სიტყვა	უნდა იყოს
3	34—35	—	სრსულმან
6	22	3	ჯოჯიკ
10	7	3	მრქუა
13	19	2	გითარ
16	4	4	ძუძუმსმტე

* დაწერილობითი კრიტიკა ხელნაწერთა ტექსტისა წარმოდგენილი იქნება ხელნაწერების სრულ აღწერილობასთან და ვარიანტებთან ერთად. იქვე იქნება ხელნაწერთა კლასიფიკაცია.

**საკუთარ სახელთა და უწინაშეწინააღმდეგო განმარტებულ სიტყვათა
ანგანური საკიბავლი*.**

ბელი XIV, 3.
 აზნაური და უაზნო XVII, 4.
 ალიზაკი XIV, 6.
 ამბოხი IX, 5.
 აოხრება იხ. ოხრება.
 აპნისი 22, 31. XX, 1.
 არტოშანი II, 9.
 არშეშა I, 7.
 ასერგასი XII, 3.
 ასტამი VI, 5.
 აფუტ (ეპისკოპოსი) 3, 18. 10, 29.
 21, 27. 22, 14.
 აღესება VII, 3. XVII, 7. XX, 3.
 აღხმა XII, 2. XIX, 5.
 აზოვანი XVII, 5.
 აჰა ესერა XVII, 9.
 ბრდღუნა ანუ ბრდღვინა IV, 10.
 ბეროზ ანუ პეროზ (სპარსთა მეფე) I, 1.
 ბალიაკი V, 7.
 გამოხუმა XIX, 6.
 განშორებისა საღმობა 14, 20. XI, 3.
 განვერე იხ. განრინება XIII, 5.
 განკაფა V, 13.
 განრინება XIII, 5.
 განსარიცხელი VII, 3.
 განტევება VI, 11.
 განტეველება XIX, 7.
 განყენება III, 7.
 განჩინება V, 1.
 გარემოქცევა XI, 4.
 გებულად VII, 14.
 გირჯაკი XIV, 8.
 გლა X, 1.
 გუმა VI, 7.

ღაბა II, 4.
 დაბურვა IX, 3.
 დაბუშვებული XII, 8.
 დაბჰარვა VIII, 7.
 დავითნი 15, 2.
 დათხევა VI, 4.
 დაკრევება VII, 4.
 დამაშურალობა XIV, 2.
 დამიანს და კოზმან XX, 5.
 დამღიერებული XIV, 15.
 დამშრშალი XII, 7. XIV, 14.
 დასაბამი VII, 6.
 დაყოფა VIII, 2.
 დაშრეტა XVI, 13.
 დაცხრომა VI, 10.
 დაწერტილი XIV, 13.
 დევი IV, 9.
 დიასპანი II, 3.
 მენჯელ V, 5.
 ერგასი XIV, 4.
 ერთბამად XVII, 6.
 ესერა=აჰა ესერა XVII, 9.
 შანი III, 1. X, 5.
 ვარდან 1, 10. 1, 12. I, 2.
 ვარდობისა თთუბ 22, 34. XX, 4.
 ვარსკენ (ქმარი შუშანიკისი) 1, 7.
 1, 20. 2, 30. 2, 35. 4, 16. 4, 30.
 4, 34. 7, 13. 7, 35. 8, 12. 11, 17.
 12, 28. 19, 31.
 ვახტანგ I გოგუასალი I, 1.
 ვინაეცა XVIII, 5.
 ჯაკვა IV, 2.
 ზატიკი XX, 3.

* როგორც ციფრით ნაჩვენებია ტექსტის თავი, ზოლო მის გვერდში მდგომი არა-
 ბული ციფრით—იმავე თავის შენიშენა. ორ-ორი არაბული ციფრი კი უჩვენებს ტექსტის
 გვერდსა და სტრიქონს.

ზეპური დედანი XVII, 3.

ზესკნელი XII, 4.

ზრახვა IV, 1.

თანამდები V, 3.

თვნიერ XVI, 9.

თულთღება XVI, 10.

თხრამლი XV, 2. XIX, 3.

იაკობ (ხუცესი, მოძღვარი შუშანი-
კისი და ავტორი წინამდებარე ნა-
შრომისა) I, 1.

იერუსალში 14, 26.

იკადრეს იხ. კადრება.

იოვანს (ეპისკოპოსი) 9, 20—21;
20, 27—28. 22, 6. 22, 13.

ქად^ა ება II, 8. XII, 9.

კარაული XIII, 1.

კარი 15, 26. 15, 28.

კეროვანი XIX, 4.

კითხვა ჰრქუა II, 6.

კილიკი XIV, 11.

კოზმან და დამიანს 23, 2 (XX, 5).

კუბასტი VIII, 6.

კუერთხი VIII, 4.

მაგიერ XIII, 9.

მამამძუძუ XVIII, 2.

მარტკლი XVI, 2.

მედგრობა XVI, 7.

მეოტი IX, 9.

მიმთხუევა XIII, 6.

მიც (==მიძს) VII, 9.

მიწოვანი XIX, 2.

მიჰრქუა იხ. რქუმა.

მოგვ X, 2. სპარსი მოგვ 14, 19.

მონა-მეველი XVI, 1.

მოსთულევა XVI, 12.

მოყუასი XVII, 2.

მოშუერით იხ. მოშურომა.

მოშურომა XVII, 8.

მოწლება XVIII, 1.

მუნ II, 11. IX, 10. XV, 3

მყის III, 2.

მკედრ IX, 4.

მკევალი XVI, 1.

მჯილი VI, 6.

ნეშტი XVIII, 4.

ოხრება XIII, 8.

პავლს (მოციქული) 4, 22.

პალატი XV, 14.

პალეკარტი XV, 6.

პეროზ ანუ ბეროზ (სპარსთა მეფე) I, 1.

პიტიაშხი I, 1.

რქემა XIII, 2.

რჩევა XVI, 11.

სალბუნი VII, 7.

სალმოზა XI, 3. XVI, 4.

სამარტკლ IV, 6.

სამოელ 9, 20 (VII, 8); თავი ეპი-
სკოპოსთა 20, 27.

სამოსელი XV, 4.

სარკუმელი VIII, 1.

სასთაული XIV, 5. სასთაულაკი
XIV, 9.

საწუთროა XVI, 6.

სახიდ IV, 8. XI, 5.

სენაკაპანი VIII, 9.

სენაკი V, 8.

სივლტოლა IX, 1.

სიყმილი IX, 11.

სპაჰბეტი I, 2.

სპარსთა მეფს 1, 6; სპარსი მოგვ
14, 19.

სრსვლი III, 4.

სულთ-თქუმა XII, 6.

სძალი X, 4.

თარიგი X, 3.

ტაძარი II, 10. V, 6.

შახნონი და ახანური XVII, 4.

უბადლო XIII, 3.

უბადრუი I, 3.

უგულისხმო XIII, 4.

უხმა VI, 2.

ურდი (დაბა) 16,13=XIII, 10. სო-
ფელი „ურუთი“ დღესაცაა ბორ-
ჩალოს მახრამი.

ურევა V, 4.

ურჩელო VIII, 8.

ურეს VII, 11.

ურეება III, 6.

უკამური IX, 2.

უკმა XI, 1.

უკმნა იხ. ჯმნა.

ძართლი 2, 12—13. 14,12. 20,35.

ქენება XV, 5.

ქუდამართ XII, 5.

ქუეანა VI, 9.

ლაწკ IX, 7.

შევედრება XVIII, 3.

შემთხუება IV, 3.

შემო-ვინმე-ვიდა XIII, 11.

შემოხუება IV, 7.

შემწუხრება V, 1.

შესაგრაგნელად XIX, 1.

შე-ხოლო-ვიდა XVI, 3.

შთამუსრული VII, 10.

შუშანიკი 1.5. 1,12. 2,8. 2,22. 2,28.

2,32. 3,21. 3,30. 3,32. 4,1. 6,7.

6,18. 6,24. 6,30. 6,35. 7,9. 7,21. 7,

23. 7,31. 8,10. 8,19. 9,8. 9,11. 9,16.

9,23. 10,11. 10,18. 10,31. 11,3.

11,7—8. 11,16. 11,23—24. 11,

27. 11,33—34. 12,8—9. 12,10.

12,21. 12,30. 13,23. 13,32.

14,4. 14,16. 14,21. 14,32. 14,

35. 15,6. 15,14. 15,27. 16,1.

16,8. 16,20. 16,24. 17,35. 18,25.

18,28. 18,31. 19,3. 19,6. 19,12.

19,22. 19,30. 20,15. 21,8. 22,31.
23,4.

ჩარადოვანი XIV, 16.

ჩორდი (თუ ჩორი?) 13,30. X, 6.
15,25. 15,29.

ცეცხლის თაყუანის ცემა I, 4.

ცისკარი VII, 1.

ცურტავი (დაბა) 2,19=II, 5.

ძეძე VIII, 5.

ძლით VI, 3.

ძნიალ X, 2.

ძუძუხმტე XIII, 7.

წარმდებლად XVI, 8.

წარწყედა V, 2.

წყენა X, 7.

წყლულება XV, 1.

პირი VI, 8.

პიკნაუხტი XII, 1.

ხალენი XIV, 10.

ხატი IV, 5. VII, 5.

ხორშაკი XIV, 12.

ხუაშიაღარე III, 5.

აკვა IX, 6.

კელმწიფება IV, 4.

ჯემა XIV, 1.

ჯმნა II, 1. III, 3. ჯმნული IX,
8=XVII, 10. უკმნა XVI, 15.

ჯოჯიკი (ძმა ვარსკენისი და მახლი
შუშანიკისი) 5,33. 6,12. 6,16.
6,22. 6,27. 7,16. 7,20. 7,28.
8,6. 13,30. 13,32. 14,2. 18,24.
19,1. 19,9. 19,15. 19,22. 20,17.
20,26.

პერეთი 2,13. 6,12. 6,16. 13,34. II, 2.

პონი 10,7. VII, 12. 10,27.

პრეუ იხ. რეუმა.

დასსრულე, გულითადს მადლობას მოგახსენებ ბ-ნს იოსებ ვიფშიძეს
რომელმაც ამაგი დაგვლო და მოგვაცოდა საჭირო მასალები ზოგიერთ სიტყვათა
განსამარტებლად (არტომანი, ჭიჭნაუხტი, გირჯაკი, დამმრშალი ღ სხვანი).

წინასიტყვაობა	III—IV
«წამება წმიდისა შუშანიკისი»	1—23
შესავალი. I შუშანიკისა და მისი ქმრის ვარსკენის ვინაობა და ამ უკანასკნელის განდგომა ქრისტიანობისაგან. II ვარსკენის მოციქულის მოსვლა ცურტავს და შუშანიკის მიერ სასახლის დატოვება. III იაკობ-ხუცესის მიერ შუშანიკის გამხმნეება. IV ვარსკენის მოსვლა ცურტავს და მღვდლების მიგზავნა წმ. შუშანიკთან. V ვარსკენის ძმის ჯოჯიკისა, მისი ცოლისა და აფუტ-ეპისკოპოსის მოციქულობა წმ. შუშანიკთან და უკანასკნელის დაბრუნება სასახლეში. VI პირველი წამება წმ. შუშანიკისა მისი ქმრისაგან პურისკამის დროს. VII კვლავ იაკობ-ხუცესის მიერ წმ. შუშანიკის გამხმნეება, ვარსკენის წასვლა ჰინკბთან ს. ომოად და შუშანიკისაგან სამკაულთა დაბრუნება. VIII მეორედ წამება წმ. შუშანიკისა. IX ბნელ ციხეში ჩადება წმ. შუშანიკისა. X იაკობ-ხუცესისა და ვარსკენის ძმის ჯოჯიკის ზრუნვა წმ. შუშანიკისათვის. XI წმ. შუშანიკის სახელის განთქმა „ყოველსა ქართლსა“ და სასწაულები. XII შუშანიკის შვილთა მიქცევა მოგვობაზე (ცეხლისთაყვანისმცემლობაზე). XIII ვარსკენი კვლავ ცდილობს შუშანიკი სასახლეში დააბრუნოს, მაგრამ ამაოდ. XIV წმ. შუშანიკის ყოველდღიური ცხოვრება საპყრობილეში ექვსი წლის განმავლობაში; ჰერეთის ბუნების აღწერა. XV წმ. შუშანიკის დასწევლება საპყრობილეში და აღსასრულის მოახლოება. XVI ჯოჯიკ-ერისთავის და მისი სახლეულობის მისვლა წმ. შუშანიკთან საპყრობილეში გამოსათხოვრად. XVII სამოველ „ეპისკოპოსთა თავისა“. და იოვანე ეპისკოპოსის, აგრეთვე დიდგვარიან აზნაურთა და უაზნოთა მისვლა საპყრობილეში და შუშანიკთან გამოსალმება. XVIII აღსასრული წმიდისა შუშანიკისა. XIX დაკრძალვა წმიდისა შუშანიკისა. XX თარიღები მისი წამებისა და აღსასრულისა.	
შენიშვნები	25—38
ხელნაწერები	39—41
შეცდომათა გასწორება	41
საკუთარ სახელთა და შენიშვნებში განმარტებულ სიტყვათა ანბანური საძიებელი	42—44.

10 c.

ფასი ერთი მანეთი.